

მედია-კოლარაიზაციის თურბულენტობა  
**საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში:**  
როგორ დავძლიოთ კოლარაიზაცია?





საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), რომელიც 2011 წლის დასაწყისში დაარსდა თბილისში, არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. GIP-ი ცდილობს, გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული ხერხემალი და ხელი შეუწყოს კარგ მმართველობასა და განვითარებას საქართველოში პოლიტიკის კვლევისა და ადვოკატირების გზით. იგი ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროექტებსა და დემოკრატიულ პროცესებში. ორგანიზაცია სწრაფად იქცა სტიპენდიებისა და პოლიტიკის ინოვაციების მთავარ ცენტრად არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ უფრო ფართო შავი ზღვის რეგიონისთვისაც. ამ აზრით, GIP-ი გამოირჩევა ამომწურავი კვლევებით, საზოგადოებასთან ძლიერი ურთიერთობითა და ინოვაციურობით პოლიტიკის დისკურსსა და პოლიტიკურ მსჯელობაში. 2013 წლიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი, ასევე, GIP არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კვლევითი ორგანიზაციების ქსელის წევრი, რომელიც ევროკომისიის მხარდაჭერით 2020 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.

## დოკუმენტის ციტირების წესი

**სადომე კანდელაკი, ისტვან ჰეგედუსი, ეჩიკ უშკიევიჩი, იან ცინგელი, პეგჰა ბოშკოვა, მიდომ გხეგოჩი, კატაჟინა ჩიმიაკი**, ანგარიში - „მედია-პოლარიზაციის ტურბულენტობა საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში: როგორ დავძლიოთ პოლარიზაცია?“, 2024 წლის ივნისი.

ანგარიში მომზადდა პროექტის, „მედიის პოლარიზაციის შემცირების ხელშეწყობა საქართველოსა და V4 ქვეყნებში“, ფარგლებში, რომელიც თანადაფინანსებულია ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების მიერ ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის გრანტების მეშვეობით. ის ასევე თანადაფინანსებულია კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული თანამშრომლობის იდეების განვითარება.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024

საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

ტელ: +995 599 99 02 12

ელ. ფოსტა: info@gip.ge

www.gip.ge

## შესავალი ტექსტი

გამონვევაა. ბევრ ქვეყანაში გვინახავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი განხეთქილების გაღრმავება, რაც ხშირად პოპულისტური და არალიბერალური აქტორების გაძლიერებას ახლავს თან, - აქტორებისა, რომლებიც მიზანმიმართულად იყენებდნენ გაყოფის რიტორიკას და საზოგადოებაში არსებულ განხეთქილებას ელექტორატის მობილიზებისთვის იყენებდნენ. რა თქმა უნდა, მართალია, რომ ასეთი სტრატეგიები, გარკვეულწილად, ყოველთვის იყო დემოკრატიული პოლიტიკის ნაწილი და რომ იდეოლოგიური ან პარტიულ-პოლიტიკური პოლარიზაცია არ არის სრულიად ახალი ფენომენი, განსაკუთრებით ორპარტიული სისტემის მქონე ქვეყნებში. თუმცა, მზარდი იდეოლოგიური პოლარიზაციის პარალელურად, რომელიც ქვეყნებს არჩევნების დროს ორ დაპირისპირებულ ბანაკად ყოფს - და ეს ტენდენცია, სავარაუდოდ გაძლიერდა აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ - მკვლევრები ასევე აკვირდებიან აფექტური პოლარიზაციის მკვეთრ ზრდას. ეს არის პოლარიზაცია, რომელიც ემყარება ჯგუფების ძლიერ ემოციურ თვითაღქმასა და ნეგატიურ განწყობებს გარე ჯგუფების მიმართ. ნეგატიური კამპანიის გაზრდით და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ღია მტრობით ნახალისებული ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად ზღუდავს რაიმე პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას, რადგან პოლიტიკა ხდება ტომობრივი, ხალხი კი კიდევ უფრო რადიკალიზებულია რწმენითა და დამოკიდებულებით „მეორე მხარის“ მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია აშკარად საზიანოა დემოკრატიისთვის და ძირს უთხრის მის სამოქალაქო ბირთვს, მას უდავოდ მოაქვს სარგებელი იმ აქტორებისათვის, რომლებიც ხეირობენ კონფლიქტებით, დემოკრატიული ნორმების შესუსტებითა და დემოკრატიული ინსტიტუტების - მათ შორის მედიის - მიმართ ნდობის ეროვნით.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა გლობალურ დონეზე პოლარიზაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად იქცა, - ისეთად, რომელიც საზოგადოებებს ლიბერალურ და არალიბერალურ ბანაკებად ყოფს. თუმცა, ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ პროცესს, ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი, განსაკუთრებით მედიის როლთან დაკავშირებით. ეს ანგარიში ღირებული მცდელობაა, შეავსოს ეს ხარვეზი. მას შემოაქვს ახალი და ორიგინალური მონაცემები ექსპერტთა გამოკითხვებიდან და ხუთ ქვეყანაში ჩატარებული ინტერვიუებიდან, რაც ნათელს მოჰფენს პოლიტიკური და მედიის პოლარიზაციის პოტენციურ განმსაზღვრელ ფაქტორებს შედარებითი პერსპექტივებით. ეს კი საშუალებას იძლევა, აღნიშნული პროცესები რეგიონის მასშტაბით უფრო სისტემატურად და დეტალურად იქნას გაგებული ისე, რომ გათვალისწინებული იქნას განსხვავებები პოლიტიკურ და მედია სისტემებში. კვლევა ასევე გვიჩვენებს, რომ გარდა პოლარიზაციის საწყისებისა და კატალიზატორების ანალიზისა, ასევე მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ ის საშუალებები და შემარბილებელი მექანიზმები, რომლებიც პოტენციურად ხელს შეუწყობს, დაიძლიოს ხარვეზები, რომლებსაც ასე მოწოდებით იყენებენ პოპულისტები და ავტორიტარი ლიდერები. ეს ამ გზაზე პირველი ნაბიჯია, - პირველი ნაბიჯი, რომელიც, იმედია, სხვებსაც შთააგონებს ევროპასა თუ მის ფარგლებს გარეთ, აიღონ მაგალითი და ეძიონ გზა, დასძლიონ პოლარიზაციის მანკიერი წრე, რომელზეც ეს მოთამაშეები დადიან.

## მიმომხილველი და საერთაშორისო კონსულტანტი

ვაცლავ შტეტკა არის მედიის მეცნიერი, რომელიც 2016 წლიდან მოღვაწეობს დიდ ბრიტანეთში, ლაფბოროს უნივერსიტეტში, სადაც ამჟამად შედარებით პოლიტიკურ კომუნიკაციას ასწავლის. მანამდე მუშაობდა მასარიკის უნივერსიტეტში, კარლის უნივერსიტეტსა და ოქსფორდის უნივერსიტეტში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს პოლიტიკურ კომუნიკაციას, მედიის როლს ანტილიბერალიზმისა და პოლარიზაციის აღზევაში და მედიასა და დემოკრატიას შორის ურთიერთობას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ის არის არაერთი საერთაშორისო კვლევითი პროექტისა და ქსელის აქტიური მონაწილე. მათ შორისაა „ციფრული ახალი ამბების ანგარიში“ (ოქსფორდის უნივერსიტეტი) და „მედია პლურალიზმის მონიტორი“ (ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტი ფლორენციაში).

## სარჩევი

**6** მოკლე შინაარსი

**7** მთავარი მიგნებები

**13** შესავალი

**14** კვლევის მეთოდოლოგია

**15** კვლევის შეზღუდვები

**16** **თავი პირველი:** საქართველოსა და V4 ქვეყნებში პოლარიზაციის შიდა და გარე ფაქტორების რუკა

**29** **თავი მეორე:** პოლიტიკური პოლარიზაციის გავლენა მედიის პოლარიზაციის გაღრმავებაზე და მისი გავლენა დემოკრატიაზე საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში

**36** **თავი მესამე:** მედიის პოლარიზაციის შერბილების მექანიზმები და მისი პოტენციური დადებითი გავლენა ამომრჩევლის გადაწყვეტილების მიღებაზე: ექსპერტებისა და ჟურნალისტების აღქმები

**42** დასკვნა

**44** ბიბლიოგრაფია

## მკვლევართა მოკლე ბიოგრაფიები

**სალომე კანდელაკი** ამჟამად გახლავთ „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ პროექტების მენეჯერი და პოლიტიკის ანალიტიკოსი. სალომე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის სტუდენტი. იგი გახლავთ მოწვეული ლექტორი საქართველოს „ევროპის უნივერსიტეტში“. მან 2017 წელს მოიპოვა მაგისტრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებში ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში. ამავდროულად, იგი სპეციალიზებულია შედარებით პოლიტიკაში. მას ასევე აქვს მაგისტრის მეორე ხარისხი საჯარო ადმინისტრირებაში (MPA) გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამით. მისი წინა სამუშაო გამოცდილება მოიცავს ფონდების მოზიდვის მენეჯმენტს სოციალური სამართლიანობის ცენტრში (ყოფილი EMC). ის ასევე გახლდათ თბილისის საკრებულოს წამყვანი მოქმედი სპეციალისტი. ასევე, აქვს პროექტების მენეჯმენტის გამოცდილება სხვადასხვა ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციაში. მისი გამოცდილების სფეროა შედარებითი ანალიზი, განსაკუთრებული აქცენტით რელიგიასა და პოლიტიკაზე, ეროვნულ მემკვიდრეობასა და დემოკრატიზაციაზე. მის კვლევით ინტერესებში ასევე შედის ევროპეიზაცია და სეკულარიზმის საკითხები ევროპაში.

**ისტვან ჰეგედუსი** არის ბუდაპეშტში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის „ევროპის უნგრული საზოგადოების“ (HES) თავმჯდომარე. საუკუნის დასაწყისიდან HES-ს მრავალი კონფერენცია და სემინარი აქვს მოწყობილი მიმდინარე საერთაშორისო საკითხებზე, განსაკუთრებით ევროკავშირის საკითხებზე. ჰეგედუსი პოლიტიკურად აქტიური გახდა უნგრეთის რეჟიმის ცვლილებისთანავე. 1989 წელს ის ოპოზიციური ჯგუფების დელეგატად მონაწილეობდა ეროვნული მრგვალი მაგიდის მოლაპარაკებებში დემოკრატიზაციაზე გადასვლის შესახებ. მოლაპარაკებების დროს იგი მედია კომიტეტის მუდმივი წევრი იყო. ლიბერალური შეხედულებების ჰეგედუსი უნგრეთის თავისუფლად არჩეული პირველი პარლამენტის წევრი გახდა 1990 წელს. დაიკავა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. ამ პერიოდის შემდეგ ჰეგედუსი მუშაობდა თავისუფალ მეცნიერად და ლექტორად რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში. სხვადასხვა საგანს შორის, იგი სტუდენტებს ასწავლიდა უნგრეთისა და ევროპის პოლიტიკას, - და ასწავლიდა სტუდენტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ „კალიფორნიის უნივერსიტეტის განათლების საზღვარგარეთის პროგრამაში“, რომელიც მდებარეობს ბუდაპეშტის უნივერსიტეტში (Eötvös Loránd). 2004 წელს მან სოციოლოგიაში დოქტორის ხარისხი მიიღო ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტში.

**ერიკ უშკიევიჩი** არის იურისტი, რომელმაც მოიპოვა სამართლის ხარისხი ბუდაპეშტის უნივერსიტეტის (Eötvös Loránd) იურიდიულ ფაკულტეტზე 2011 წელს და დოქტორის ხარისხი ამავე უნივერსიტეტიდან 2022 წელს. უახლოეს წარსულში ერიკი მუშაობდა სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციაში, როგორც მკვლევარი და პროექტების მენეჯერი. ამჟამად ის არის „ევროპის უნგრული საზოგადოების“ (HES) ერთ-ერთი ვიცე-თავმჯდომარე და მუშაობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის, DIACOMET-ის უფროს მკვლევარად. ერიკი ჩართულია როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კვლევით პროექტებში, რომლებიც დაკავშირებულია კანონის უზენაესობასთან, მედიის თავისუფლებასთან, ყალბ ამბებთან და დეზინფორმაციასთან. სწავლის დასრულების შემდეგ, იგი გახლდათ მოწვეული ლექტორი უნგრეთის უმაღლეს სასწავლებლებში; არის მრავალი პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი. უნგრულის გარდა ფლობს ინგლისურ და ესპანურ ენებს.



**იან ცინგელი** არის სლოვაკეთის ანალიტიკური კვლევითი ცენტრის GLOBSEC-ის პოლიტიკის ინსტიტუტის ევროპის სამეზობლო პროგრამის ხელმძღვანელი და სლოვაკეთის ანალიტიკური ცენტრის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. მანამდე მუშაობდა GLOBSEC-ში ევროპის სამეზობლო განვითარების პროგრამის პროექტის მენეჯერად. მისი ექსპერტიზის სფეროებია: დასავლეთ ბალკანეთი, სამხრეთ კავკასია, რადიკალიზაცია, ძალადობრივი ექსტრემიზმი, ნატო და ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები და პროცესები. სლოვაკეთის ატლანტიკურ კომისიაში განწევრიანებამდე იანი მუშაობდა სლოვაკეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და კანონმდებლობის დეპარტამენტის ორმხრივ ურთიერთობათა ოფისში. ის არის ბრატისლავის გლობალური უსაფრთხოების ფორუმის - GLOBSEC-ის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი (2005 წლიდან). იანმა დაამთავრა სლოვაკეთის ბანსკა-ბისტრიცას მატეი ბელის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, მაგისტრის ხარისხით. საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ხარისხი.

**პეტრა ბოშკოვა** არის პროექტების მენეჯერი და მკვლევარი სტრატეგიული ანალიზის კვლევით ცენტრში. პეტრა სწავლობდა საერთაშორისო ურთიერთობებს ჩეხეთის მასარიკის უნივერსიტეტში. ის იყო ბანსკა-ბისტრიცაში დაფუძნებული „ევროატლანტიკური ცენტრის“ პროგრამის ასისტენტი. სწავლის პერიოდში პეტრამ სტაჟირება გაიარა ასოციაცია Jagello 2000-ში ნატოს დღეებში და ჩეხეთის საჰაერო ძალების დღეებში, VIP დეპარტამენტში, ასევე სლოვაკეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის პოლიტიკისა და მედიის დეპარტამენტში. გარდა ამისა, მან მონაწილეობა მიიღო MESA10-ის მიერ ორგანიზებულ პროექტში „საუნივერსიტეტო დებატები“, რომლის დროსაც განიხილეს ევროკავშირისა და ნატოს როლი დასავლეთ ბალკანეთში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს რუსეთის გავლენას დასავლეთ ბალკანეთში, დეზინფორმაციასა და მედიანიგნიერებას და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას.

**მილოშ გრეგორი** ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მრჩეველია საინფორმაციო წიგნიერებისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის საკითხებში. ის ასევე არის მასარიკის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორი. მისი კვლევითი საქმიანობა ფოკუსირებულია ორ სფეროზე: პოლიტიკურ კომუნიკაციასა და მარკეტინგზე და დეზინფორმაციასა და პროპაგანდაზე. მილოშ გრეგორი არის ავტორი ან თანაავტორი არაერთი პუბლიკაციისა მანიპულაციურ ტექნიკასა და ონლაინ სივრცეში დეზინფორმაციის გავრცელების შესახებ, ასევე, წიგნისა, „როგორ გავუმკლავდეთ ონლაინ პროპაგანდასა და დეზინფორმაციას 21-ე საუკუნეში“. გარდა აკადემიური გამოცემებისა, ის ასევე არის პოპულარული წიგნის, „საუკეთესო წიგნი ყალბი ამბების, დეზინფორმაციისა და მანიპულაციის შესახებ“, თანაავტორი.

**კატარინა ჩიმიაკი** არის „საზოგადოებრივ საქმეთა ფონდის ინსტიტუტის“ (ვარშავა) ევროპული და მიგრაციული პოლიტიკის პროგრამის უფროსი ანალიტიკოსი და პროექტების კოორდინატორი. სწავლობდა ისტორიას ვარშავის უნივერსიტეტში (აქცენტით მე-20 საუკუნის ევროპის ისტორიაზე) და 2008 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი. შემდეგ სწავლა ამავე მიმართულებით განაგრძო ლაიფციგისა და დუისბურგ-ესენის უნივერსიტეტებში. იგი ასევე იყო მაინცის ლაიბნიცის ევროპის ისტორიის ინსტიტუტის სტიპენდიატი. 2012 წელს ვარშავაში დაბრუნების შემდეგ, იგი მუშაობდა ვარშავის გერმანიის ისტორიულ ინსტიტუტში და ჩართული იყო სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობაში, რომლებიც ხელს უწყობენ პოლონეთსა და უკრაინას შორის თანამშრომლობას, ასევე პოლონეთის სამოქალაქო საზოგადოებასა და რუსეთის დემოკრატიულ მოძრაობას შორის დიალოგის ხელშეწყობას. იგი 2019 წელს შეუერთდა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გუნდს, რომელიც ფოკუსირებულია მიგრაციის პოლიტიკასთან, პოლონეთ-გერმანულ ურთიერთობებთან და პოლონეთში საარჩევნო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებზე.

## მოკლე შინაარსი

ანგარიში მიმოიხილავს პოლიტიკური პოლარიზაციის შიდა და გარე მიზეზებს საქართველოსა და ვიშეგრადის ოთხეულში (V4): უნგრეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთსა და პოლონეთში. იგი ასევე აანალიზებს მედიის პოლარიზაციის მასტიმულირებელ ძირითად ფაქტორებს, ასევე პოლიტიკური პოლარიზაციის შედეგებსა და მის გავლენას დემოკრატიაზე. ანგარიშში ასევე შემოთავაზებულია გადაწყვეტილებები მედიის პოლარიზაციის შესამცირებლად და ამომრჩევლის მიერ კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად.

ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულ იქნა მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდი. უპირველეს ყოვლისა, გამოვიკვლიეთ არსებულ ლიტერატურა და ანგარიშები, მათ შორის მედიის თავისუფლების, დემოკრატიისა და პოლარიზაციის მაჩვენებლები, ასევე, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგები. ამასთან, გამოიკითხნენ მედია ექსპერტები და რედაქტორები, ბოლოს კი გამოიკითხნენ ექსპერტები და ჟურნალისტები საქართველოსა და V4-ს ქვეყნებში.

კვლევის შედეგები მიუთითებს პოლარიზაციის დონისა და პოლარიზაციის ფესვების საერთო ტენდენციებზე საქართველოში, უნგრეთსა და პოლონეთში. ოდნავ განსხვავებული ტენდენციები დაფიქსირდა სლოვაკეთის შემთხვევაში და, განსაკუთრებით, ჩეხეთში. კერძოდ, მაშინ, როცა მედიის პოლარიზაცია საქართველოში, უნგრეთსა და პოლონეთში ძირითადად გამონვეულია პოლიტიკური პარტიების მიერ მედიასაშუალებების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციით და სახელმწიფოს მიერ მედიის ხელში ჩაგდებით, სლოვაკეთში ყველაზე მწვავე პრობლემებად სახელდება „საზოგადოების ფრაგმენტაცია“ და „მყიდვე პოლიტიკური ლანდშაფტი ქვეყანაში“. ჩეხეთის შემთხვევაში, მთავარი გამომწვევი ფაქტორი აღმოჩნდა „სარედაქციო პოლიტიკა“ და „ჟურნალისტების არაკომპეტენტურობა“. თუმცა, ხუთივე ქვეყნის შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ მას შემდეგ, რაც 2022 წელს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, საგარეო პოლიტიკა და რუსეთთან ურთიერთობა იქცა როგორც პოლიტიკური პოლარიზაციის, ისე მედიის პოლარიზაციის მთავარ ფაქტორად. ეს აისახება როგორც პოლიტიკოსების რიტორიკაში, ისე რუსეთის მძლავრ პროპაგანდაში ამ ქვეყნებში, რამაც საგრძნობლად გაზარდა პოლარიზაციისა და საზოგადოების დაძაბულობის დონე.

პოლიტიკურ პოლარიზაციაში მედიის საკვანძო როლის გათვალისწინებით, ამ ანგარიშისთვის ჩატარებული ექსპერტული გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ დასავლელმა დონორებმა პრიორიტეტად უნდა დაისახონ მედია ლანდშაფტის დამოუკიდებლობის ნახალისება, რათა მედიასაშუალებები გათავისუფლდნენ პოლიტიკურ დაფინანსებაზე დამოკიდებულებისგან. ექსპერტები თვლიან, რომ თუ საზოგადოება დაინახავს, რომ მედია არ არის დაკავებული პოლიტიკური პროპაგანდით, მედია უფრო მეტ ნდობას მოიპოვებს, - რაც დღეს არ აქვთ, - და ობიექტური გაშუქების საფუძველზე ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას შეძლებენ.

**საკვანძო სიგყვობი:** პოლარიზაცია, მედია, საქართველო და ვიშეგრადის ქვეყნები, დემოკრატიული უკუსვლა, მედიის თავისუფლება, ევზინფორმაცია



# საქართველო



**1 ექსპერტების თანახმად, პოლარიზაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორი ხელისუფლების გადასვლა აღმოჩნდა ანტიდასავლურ რიტორიკაზე** - 2022 წლიდან საქართველოში პოლარიზაციის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა და გამოკითხულ მედიაექსპერტთა უმრავლესობა უფრო მნიშვნელოვან მიზეზად შიდა პოლიტიკურ ატმოსფეროს მიიჩნევს, ვიდრე გარე ფაქტორებს. კერძოდ, მათ პოლიტიკური პოლარიზაციის ხელშემწყობ ფაქტორად „მმართველი პარტიის რიტორიკა“ დაასახელეს. მართალია, ეს ძირითადად ეხება ხელისუფლების მკაცრ რიტორიკას საქართველოს დასავლელი სტრატეგიული პარტნიორების და უკრაინის მიმართ, - ფენომენს, რომელსაც თან ახლავს რუსეთის მიმართ რიტორიკის შერბილება, - მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში შიდა პოლიტიკური ტურბულენტობა მნიშვნელოვნად განპირობებული იყო საგარეო პოლიტიკური ფაქტორებით.

**2 გამოკითხული ქართველი ექსპერტების, ისე გამოკითხული ჟურნალისტების აზრით, პოლარიზაციის გამომწვევი ყველაზე მწვავე გარე ფაქტორი რუსეთთან ურთიერთობაა** - საქართველოს მთავრობა არ შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ. მან ასევე მიიღო ათასობით რუსეთის მოქალაქე საქართველოში და აღადგინა პირდაპირი ფრენები. ამ ნაბიჯებმა გაზარდა პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა, რაც მედიაშიც აისახა.

**3 როგორც ექსპერტების, ისე ჟურნალისტების აზრით, პოლიტიკური პარტიების მიერ მედიასაშუალებების ინსტრუმენტალიზაცია მედიის პოლარიზაციის მთავარი მიზეზია** - ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო მედიაორგანიზაციები ხშირად იღებენ დაფინანსებას პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული ადამიანებისგან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ დამოუკიდებლობას და რითაც ასტიმულირებს პოლიტიკურ პოლარიზაციას მედიის სფეროში. ის მედიასაშუალებები, რომლებიც დონორთა გრანტებით ფინანსდება, ასევე მიუღებელია ხელისუფლებისთვის და სწორედ მსგავსი კრიტიკული მედიის ჩახშობა განიზრახა მმართველმა პარტიამ ე.წ „რუსული კანონის“ ხელახალი ინიცირებით.

**4 დონორებისა და უპარტიო ბიზნესების ფინანსური ინვესტიციები დამოუკიდებელი მედიის განვითარებაში არის გამოსავალი, რომელიც ხელს შეუწყობს მედიის პოლარიზაციის შემცირებას და ამომრჩევლებს საშუალებას მისცემს, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები** - მედიის პოლარიზაცია შეიძლება შემცირდეს დონორებისა და დამოუკიდებელი ბიზნესების მიერ, რომლებიც მეტ ინვესტიციას განახორციელებენ მედიანიგნიერების ამაღლებაში, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს, გაძლიერდეს კონკრეტულ საკითხებზე ფოკუსირებული პოლიტიკური დებატები. ეს კი ამომრჩევლებს დაეხმარება დეზინფორმაციის გავლენისგან თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილებები საარჩევნო ყუთთან.

# უნგრეთი



**1 მედიის პოლარიზაცია უნგრეთში არ არის გვერდითი ეფექტი ან თანმხლები ზიანი:** პოლიტიკური პოლარიზაციის გამყარება არის ამჟამინდელი რეჟიმის მთავარი მიზანი, - უნგრეთის ამომრჩეველში მისი პოლიტიკისთვის სტაბილური უმრავლესობის შექმნის უფრო ფართო სტრატეგიის შესაბამისად. 2010 წლიდან მოყოლებული, ვიკტორ ორბანის მთავრობამ შემოიღო ახალი შემზღუდავი ზომები მედიის სფეროში, ახალი ტიპის ჰიბრიდული, არალიბერალური პოლიტიკური სისტემის დასამკვიდრებლად. საბაზრო ინტერვენციებმა, მარეგულირებელმა ზომებმა, ადმინისტრაციულმა გადაწყვეტილებებმა და ბიზნეს ინსტრუმენტებმა ერთობლიობაში გამოიწვია დამახინჯებული, ძლიერ პოლარიზებული მედია ბაზარი. მედიის მხოლოდ მცირე თავისუფალი და დამოუკიდებელი სეგმენტი ინარჩუნებს ტრადიციულ ჟურნალისტურ ეთოსს ამ მტრულ გარემოში.

**2 2014 წლიდან რუსეთის მიმართ ორბანის პოლიტიკური ხაზის დრამატული ცვლილების შემდეგ, მედიის პრო-ფიდესური ნაწილი შეეგუა ახალ კურსს, სახელწოდებით „გახსნა აღმოსავლეთისადმი“, რომელიც წარმოადგენს როგორც ინსტრუმენტს, ისე იდეოლოგიურ საფუძველს, გაძლიერდეს კავშირები უნგრეთის მთავრობასა და პუტინის რეჟიმს შორის.** ბოლო ათწლეულის განმავლობაში მთავრობის რუპორებს თავიანთი ყოფილი კრიტიკული პოზიციიდან გადასვლის შემდეგ, პუტინით შეუფარავი აღფრთოვანება დასჩემდათ. პრორუსულმა არგუმენტაციამ და ანტი-უკრაინულმა რიტორიკამ, რომელიც ადვილად შეიმჩნევა ომის „ოფიციალურ“ მედიაგაშუქებაში, წარმატებით შეცვალა „ფიდესის“ ბანაკის დამოკიდებულება. უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგაც კი, რუსეთს ხშირად წარმოაჩენენ, როგორც რეალურ მსხვერპლს დასავლეთის ძალების მიერ პროვოცირებულ კონფლიქტში, ხოლო ახალი ამბების გაშუქებისას უგულებელყოფილია პუტინის რეჟიმის სამხედრო ქმედებების სისასტიკე. ასეთი გაშუქება ნორმად იქცა უნგრული მედიის არათავისუფალ ნაწილში.

**3 მთავრობის მონოპოლიამ მედიის სფეროზე დამანგრეველი გავლენა იქონია პოლიტიკურ კულტურაზე და უნგრეთის დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობაზე.** ჩვენს გამოკითხვაში მონაწილე ჟურნალისტების აზრით, პოლარიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი შიდა ფაქტორებია მმართველი პარტიის რიტორიკა, დეზინფორმაცია და კორუფცია. პოლარიზაციის გარე ფაქტორებთან მიმართებაში ყველაზე აქტუალური იყო რუსული აგრესია/ომი უკრაინაში და უკრაინასთან და რუსეთთან ურთიერთობა. მათ შემდეგ მოდის ევროკავშირის პოლიტიკა. დიალოგი და დელიბერაციული პროცესი ამ არალიბერალურ სახელმწიფოსთან შეუსაბამო პოლიტიკური ცნებებია.

**4 მწირია იმედი მოკლევადიანი ცვლილებებისა, რაც მოიცავდა პოლიტიკური და მედიის პოლარიზაციის შერბილებას.** არც ორბანის პოლიტიკური კურსის შეცვლა და არც მისი პარტიის დამარცხება მომავალ (სავარაუდოდ, უსამართლოდ ჩატარებულ) არჩევნებზე მოსალოდნელი არ არის. მიუხედავად ამისა, რამდენადაც მთავრობა იზოლირებულ პოზიციაზე გადავიდა და უნგრეთმა დაკარგა გავლენა ევროპულ დონეზე, კრიტიკული ხმები, მათ შორის მორალური არგუმენტები, უფრო ხმამაღალი გახდა პოლიტიკური სპექტრის ოპოზიციურ მხარესა და მედიის თავისუფალ ნაწილებში. არსებობს მედია განათლების გადაუდებელი საჭიროება, ასევე განახლებული კამპანია დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, ეს განვითარება არ შეიძლება განცალკევდეს ზოგადი პოლიტიკური გარემოს განახლების ფუნდამენტური საჭიროებისგან. ზოგადად, უნგრულ ლიბერალურ მედიასა და პოლიტიკურ დაინტერესებულ მხარეებს ურჩევნ, ითანამშრომლონ ევროპულ და გლობალურ აქტორებთან უნგრეთში არალიბერალური და ავტორიტარული ტენდენციების შესაჩერებლად.

# სლოვაკეთი



**1 პოლიტიკური მდელვარება და მმართველობის საკითხები** - ყველაზე მნიშვნელოვანი საშინაო ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს პოლარიზაციას სლოვაკეთში, არის პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც განსაკუთრებით 2023 წლის სექტემბრის ვადამდელი არჩევნების წინა პერიოდში გამოჩნდა. პოლიტიკურმა არეულობამ და გაურკვეველობამ გამოიწვია მოქალაქეების ნდობის დაკარგვა პოლიტიკური სისტემისა და ინსტიტუტების მიმართ. კიდევ ერთი ასპექტია ძალაუფლების მაძიებელი პოლიტიკოსების მიერ არალიბერალური ტენდენციების ექსპლუატაცია, რაც შემაშფოთებელ ტენდენციად იქცა. ამ პოლიტიკურმა მანევრებმა და გაურკვეველობამ გამოიწვია პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მიმართ უფრო ღრმა კრიტიკა, რამაც მოქალაქეებს პოლიტიკური სცენა კორუმპირებულად და არაეფექტურად აღაქმევინა. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ ხელი შეუწყო საზოგადოების განხეთქილებას და შექმნა გარემო, რომელშიც მოქალაქეები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა მიმართ უკმაყოფილებას და გაურკვეველობას გრძნობენ. ამიტომ, აუცილებელია, პოლიტიკურმა პარტიებმა და ეროვნულმა ხელმძღვანელობამ მიიღონ ზომები პოლიტიკურ სისტემაში სანდოობისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის აღსადგენად.

**2 კონფლიქტი უკრაინაში:** უკრაინის კონფლიქტი არის მნიშვნელოვანი გარე ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს სლოვაკეთის პოლარიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება არ იყოს პოლარიზაციის ძირითადი მამოძრავებელი, მისმა არსებობამ გამოიწვია არასტაბილურობა საზოგადოებრივ დისკურსში. მიმდინარე კონფლიქტმა გავლენა მოახდინა ორი ქვეყნების საზღვრებს გარეთ არსებულ პოლიტიკურ ნარატივებზე და ჩამოაყალიბა აღქმა სლოვაკეთის საზოგადოებაში, რომ სლოვაკეთის სიახლოვე უკრაინასთან, - როგორც გეოგრაფიულად, ისე ისტორიულად, - ნიშნავს, რომ კონფლიქტის განვითარება პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ განწყობასა და პოლიტიკურ დინამიკაზე. გარდა ამისა, ომი უკრაინაში გამოყენებულ იქნა, როგორც ნარატივი სლოვაკეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს (2024 წლის აპრილში). კანდიდატებმა გამოიყენეს „სლოვაკეთის ჯარების უკრაინაში გაგზავნის“ ნარატივი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები პარლამენტისა და მთავრობის იურისდიქციაშია და პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებს სცილდება. პოლიტიკოსები იყენებენ თავიანთ გავლენებს ხალხში შიშის დასათესად და უკრაინის მხარდაჭერის წინააღმდეგ ნარატივების გასაძლიერებლად, რაც, სამწუხაროდ, ხელს უწყობს სლოვაკეთის მხარდ იზოლაციას საგარეო პოლიტიკაში მისი ისეთი მნიშვნელოვანი პარტნიორებისგან, როგორიცაა, მაგალითად, ჩეხეთი.

**3 პრორუსული პროპაგანდა და დეზინფორმაციული კამპანიები განისაზღვრა, როგორც ძირითადი ფაქტორები, რომლებიც აძლიერებენ განხეთქილებას და ავრცელებენ ცრუ ნარატივებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სლოვაკეთში სოციალური გარემოს პოლარიზაციას.** გარდა ამისა, არალიბერალური პოლიტიკის პოლიტიკური გამოყენება, კორუფცია და ხელისუფლების გამყოფი რიტორიკა მედიის პოლარიზაციის შემდგომ გაღრმავებას ემსახურება. შეზღუდული მედიაწინგნიერება სლოვაკების მნიშვნელოვან ნაწილში, - რასაც შეთქმულების თეორიების მიმართ მათი მოწყვლადობა ადასტურებს, - ხაზს უსვამს კრიტიკული მედია წინგნიერების უნარების გაუმჯობესების გადაუდებელ აუცილებლობას. გარდა ამისა, დეზინფორმაციის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური მედიის პლატფორმები, რომლებიც ქმნიან საინფორმაციო ბუშტებს და ხელს უწყობენ არსებული ცრურწმენების განმტკიცებას, ეს კი აღრმავებს მედიის პოლარიზაციას და ამძაფრებს სოციალურ დაყოფას.

## 4 მედიის პოლარიზაციის შემამსუბუქებელი მექანიზმები და გზები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას:

### 4.1

**ფაქტების შემონმების ინიციატივების მხარდაჭერა:** ისეთი ინიციატივები, როგორცაა Konšpiratori.sk და მედია განათლებისა და მონიტორინგის ცენტრი, ფოკუსირებულნი არიან დეზინფორმაციასთან ბრძოლასა და მედიაწიგნიერების გაძლიერებაზე ფაქტების შემონმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით.

### 4.2

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის თანამშრომლობა, რომლის მაგალითიცაა ისეთი ინიციატივები, როგორცაა „საჯარო ადმინისტრაციების გზამკვლევი“, - რაც აჩვენებს ერთობლივ ძალისხმევას სტრატეგიული კომუნიკაციისა და მედიაწიგნიერების გაზრდის მიზნით.

### 4.3

მედიანწიგნიერების გაძლიერება: სკოლებსა და სათემო საზოგადოებებში მედიანწიგნიერების ყოვლისმომცველი პროგრამების განხორციელება, რათა მოქალაქეები აღიჭურვონ კრიტიკული აზროვნების უნარებით, რომლებიც აუცილებელია ინფორმაციის წყაროების შესაფასებლად და დეზინფორმაციის ამოსაცნობად.

---



# ჩეხეთი



**1** ჩეხეთში პოლარიზაციის ყველაზე გამორჩეული შიდა ფაქტორებია პოპულისტური რიტორიკა და არა იდეოლოგიაზე, არამედ იდენტობაზე დაფუძნებული განხეთქილებების წახალისება. პოლიტიკური საკითხები ხშირად გარდაიქმნება კულტურულ ომებში ელიტასა და უბრალო ადამიანებს შორის, რაც პოპულისტების მიერ გამოყენებული ნაცნობი ტაქტიკაა. პოპულისტი პოლიტიკური აქტორები, როგორც წესი, ხაზს უსვამენ იდენტობებს და მათ იდეოლოგიურ პრეფერენციებზე წინ აყენებენ. ოპოზიციური პარტიები იყენებენ ჩეხეთის მხარდაჭერას უკრაინის მიმართ, როგორც ხელისუფლების კრიტიკის საშუალებას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევი იყო 2023 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როდესაც ერთ-ერთმა კანდიდატმა, ანდრეი ბაბიშმა (ANO), ღიად გამოიყენა დეზინფორმაცია და თავის კამპანიაში კრემლის პროპაგანდის რიტორიკა გამოიყენა.

**2** მნიშვნელოვანია რუსული პროპაგანდის როლი ჩეხეთის საინფორმაციო გარემოში. რუსული პროპაგანდის ყველაზე გავლენიანი სპიკერი 2013-2023 წლებში პრეზიდენტი მილოშ ზემანი იყო, - რომელსაც პარლამენტში ზურგს უმაგრებდნენ კომუნისტური პარტია და SPD. მხოლოდ 2022 წლის თებერვლის მოვლენებმა აიძულა ზემანი, შეენყვიტა კრემლის აქტიური მხარდაჭერი. თუმცა, წლების განმავლობაში მისმა აქტიურობამ და რიტორიკამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ დებატებსა და პოლარიზაციაზე. რუსულ პროპაგანდას ავრცელებენ არა მხოლოდ პოლიტიკური აქტორები, არამედ სხვადასხვა მედიაშუალებები ინტერნეტში. გარდა ამისა, რუსული პროპაგანდა და ზოგიერთი შიდა პოლიტიკური აქტორი ხელს უწყობს ევროკავშირისა და მისი პოლიტიკის მიმართ წინააღმდეგობის გაღრმავებას. ჩეხეთის რესპუბლიკაში ევროკავშირის პოლიტიკის მიმართ სკეპტიციზმი სათავეს იღებს პრეზიდენტ ვაცლავ კლაუსის (2003-2013) ეპოქაში, რომელიც რჩება ევროკავშირის ყველაზე გამორჩეულ კრიტიკოსად და ქვეყანაში კრემლის ნარატივების დამცველად. მისი ისტორიული გავლენა დღესაც აშკარაა.

**3** მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს ერთი მხრივ, აკადემიური და პოლიტიკური კომუნიკაციის ექსპერტების აღქმებსა და, მეორე მხრივ, მედიაინდუსტრიის ექსპერტების აღქმებს შორის. მედია პროფესიონალები ჩეხური მედიის სარედაქციო პოლიტიკას უმთავრეს სისუსტედ ასახელებენ, ხოლო ექსპერტები ხშირად აკრიტიკებენ ჟურნალისტებს გარკვეული თემების გაშუქების არაკომპეტენტურობის ან პოლიტიკოსების გავლენის გამო. გავრცელებული კრიტიკა ისაა, რომ მედია ზედმეტად ამახვილებს ყურადღებას სკანდალებსა და სენსაციაზე. ყველაზე დიდი განსხვავება აღქმაში ორ ჯგუფს შორის არის მათი შეხედულებები საგარეო გავლენებზე, როგორცაა კრემლის პროპაგანდა და ჩეხეთის რესპუბლიკაში პოლიტიკური გარემოს სისუსტე. თუმცა ექსპერტები ორივეს უფრო პრობლემურად აღიქვამენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა პრესის თავისუფლების საერთაშორისო რეიტინგში კარგ პოზიციებზეა. ეს იმაშიც ვლინდება, რომ როგორც ექსპერტები, ისე ჟურნალისტები, მედიის სახელმწიფოს ხელში ჩაგდების პრობლემას ნაკლებად რელევანტურად მიიჩნევენ ჩეხეთის კონტექსტში.

**4** ჩეხეთის რესპუბლიკაში ვითარება შედარებით დადებითია საერთაშორისო რეიტინგების მხრივ და ამ პროექტის ფარგლებში გამოკვლეულ სხვა ქვეყნებთან შედარებით. როგორც ასეთი, სტატუს კვოს შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძირითადი ცვლილებების განხორციელება. იმისათვის, რომ ვითარება არ გაუარესდეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო წიგნიერების ამაღლებას და მედიის ამჟამინდელი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.



# პოლონეთი



**1** პოლარიზაციის საშინაო ფაქტორები მოიცავს გარკვეული პოლიტიკოსების მიზანმიმართულ ქმედებებს, გააღრმავონ პოლიტიკური კონფლიქტი და ამით მათი ამომრჩევლის მობილიზება მოახდინონ; ასევე, გაავრცელონ პოლიტიკური მითები, რომლებიც პოლიტიკურ ოპონენტებს ეროვნულ მოღალატეებად ხატავს. პოლონეთში პრობლემაა ადეკვატური სამოქალაქო განათლების ნაკლებობა და მასთან დაკავშირებული დემოკრატიული სტანდარტების საკმარისი დაცვის ნაკლებობა. პოლონური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის „კანონისა და სამართლიანობის პარტიის“ ოპონენტები, თვლიან, რომ დეზინფორმაციის გამოყენება დასაშვებია, თუ ის ეხმარება მათ ფავორიტ პოლიტიკოსებს არჩევნებში გამარჯვებაში („მიზანი ამართლებს საშუალებებს“).

**2** პოლარიზაციის ყველაზე მწვავე გარე ფაქტორია ევროკავშირის პოლიტიკა, რასაც მოსდევს უკრაინასთან ურთიერთობები. გარდა ამისა, როგორც კვლევამ აჩვენა, პოლარიზაციის გარე ფაქტორები მოიცავს სოციალური მედიის ინსტრუმენტების ეფექტს, ჩაკეტოს მსგავსი მოსაზრებების მქონე ადამიანები გაფილტრულ „ბუშტებში“. პრობლემაა მაღალი ხარისხის ტრადიციული მედიის დეფიციტი.

**3** მედიის პოლარიზაციის ძირითად მასტიმულირებელ ფაქტორებს მიეკუთვნება მედიის ხელში ჩაგდება და საზოგადოებრივი ტელევიზიისა და რადიოს შეიარაღება „კანონისა და სამართლიანობის“ პარტიის მიერ - 2015 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ; გარდა ამისა, ზოგიერთ გავლენიან პოლიტიკურ ლიდერს აქვს რწმენა, რომ მედია არასოდეს არის მთლად მიუკერძოებელი და რომ მედიის გაშუქების პარტიული დამოკიდებულება სრულიად ნორმალურია.

**4** მედიის პოლარიზაციის შერბილებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის ძირითადი მექანიზმები მოიცავს მედიაინიციერების ხელშეწყობის პროგრამებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საგამოძიებო ჟურნალისტიკაში და ფაქტების შემოწმებაში სპეციალიზებული დამოუკიდებელი ჟურნალისტების მხარდაჭერა. უფრო მეტიც, კერძო მედიის დამოუკიდებლობის დაცვის კიდევ ერთი გამოსავალია ისეთი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რომლებიც ართულებს სახელმწიფოს მიერ მედიის კონტროლს.

## შესავალი


ბოლო ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკური პოლარიზაცია პრობლემად რჩება როგორც საქართველოში, ასევე ვიშეგრადის ქვეყნებში. პოლიტიკური პოლარიზაცია პირდაპირ გავლენას ახდენს მედიაზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსახლეობის დაყოფას ორ განსხვავებულ ბანაკად. პოლიტიკური პოლარიზაცია განსაკუთრებით პრობლემური გახდა 2022 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა დაიწყო სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო მედია სივრცე და დაიწყო დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები. ამან გამოიწვია შიდა და გარე პოლიტიკური ცვლილებები და ჰიბრიდული ომი უფრო ინტენსიური გახდა პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გაზრდით.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკური პოლარიზაცია პრობლემად რჩება როგორც საქართველოში, ასევე ვიშეგრადის ქვეყნებში. პოლიტიკური პოლარიზაცია პირდაპირ გავლენას ახდენს მედიაზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსახლეობის დაყოფას ორ განსხვავებულ ბანაკად. პოლიტიკური პოლარიზაცია განსაკუთრებით პრობლემური გახდა 2022 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა დაიწყო სრულმასშტაბიანი ომი უკრაინაში, რამაც მოიცვა მთელი მსოფლიოს მედია სივრცე და დაიწყო დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები. ამან გამოიწვია შიდა და გარე პოლიტიკური ცვლილებები და ჰიბრიდული ომი უფრო ინტენსიური გახდა.

მედიის პოლარიზაციის ფესვები მსგავსია საქართველოში, უნგრეთსა და პოლონეთში. ბოლო დროს სლოვაკეთშიც ანალოგიური ვითარება შეინიშნება. ეს აქამდე არ მომხდარა ჩეხეთის რესპუბლიკაში, რომელიც სხვა მაგალითს მიჰყვებოდა. კვლევის ფარგლებში, 5 ქვეყანაში გამოკითხული 109 ექსპერტისა და ჟურნალისტის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (96 რესპონდენტმა) განაცხადა, რომ მათ მიაჩნიათ, რომ მედიის პოლარიზაცია წარმოიქმნება შიდა ფაქტორებიდან და არა გარედან (იხ. ფიგურა 1). საქართველოს, უნგრეთის და პოლონეთის შემთხვევაში, რესპონდენტებმა ეს ძირითადად პოლიტიკური პარტიების მიერ მედია ორგანიზაციების პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას მიაწერეს. სლოვაკეთში მიაჩნიათ, რომ ეს ხდება როგორც „საზოგადოებრივი ფრაგმენტაციის“ და „ქვეყანაში არსებული მყიფე პოლიტიკური ლანდშაფტის“ გამო. ჩეხეთში რესპონდენტებმა გასცეს პასუხები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დანარჩენი ოთხი ქვეყნის პასუხებისგან და ასახელებდნენ „სარედაქციო პოლიტიკას“ და „ჟურნალისტების არაკომპეტენტურობას“, როგორც ქვეყანაში მედიის პოლარიზაციის სტიმულირების მთავარ ფაქტორებს.

### ღიაგხაზა 1.

მედიის პოლარიზაცია ძირითადად შიდა ფაქტორებითაა განპირობებული თუ გარე ფაქტორებით?



2023 წლის პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსის მიხედვით, საქართველო, 61.69 ქულით, - ვიშეგრადის ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორცაა უნგრეთი (62.96) და პოლონეთი (67.66), - მიეკუთვნება „პრობლემური სიტუაციის“ კატეგორიას ძალადობის დოკუმენტირებული შემთხვევების გამო ჟურნალისტების წინააღმდეგ (რეპორტიორები საზღვრებს გარეშე 2023). სლოვაკეთს აქვს 83,22 ქულა, ხოლო ჩეხეთს აქვს 83,58, რაც ორ ქვეყანას „დამაკმაყოფილებელ“ კლასტერში ათავსებს. ჟურნალისტები საქართველოში, ისევე როგორც ვიშეგრადის სამ ქვეყანაში (სლოვაკეთი, უნგრეთი და პოლონეთი) ძალადობის ობიექტები არიან (BBC 2020; The Guardian 2021; IPI 2020; Civil.ge 2021). ზოგიერთ შემთხვევაში, ექსტრემისტულ ულტრამემარჯვენე ჯგუფებს პასიური სამართალდამცავი ორგანოები აძლევენ ჟურნალისტებზე თავდასხმის საშუალებას. ზოგიერთ ქვეყანაში კრიტიკული მედია სამთავრობო ხელისუფლების პირდაპირი სამიზნეა. ეს ანგარიში ანალიზებს პოლიტიკური პოლარიზაციის ძირითად შიდა და გარე მამოძრავებელ ფაქტორებს და მათ გავლენას მედიის პოლარიზაციაზე. ასევე, მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებიც მიზნად ისახავს მედიის პოლარიზაციის შემცირებას და ამომრჩევლის დახმარებას ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

## კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის მიზანია (1) შეაფასოს შიდა და გარე პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც ამძაფრებს პოლარიზაციას უკრაინის ომის კონტექსტში; (2) იდენტიფიცირება გადაწყვეტილებებისა, რომლებიც დაეხმარება პოლარიზაციის შერბილებას, რათა ხელი შეუწყოს ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში.

კვლევა უკრაინაში ომის დაწყებიდან პროექტის დასრულებამდე პერიოდში მიმდინარეობდა. ანგარიში დაწერეს პროექტის განმახორციელებელი ყველა ორგანიზაციის მკვლევრებმა: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) - საქართველო, „ევროპის უნგრული საზოგადოება“ - უნგრეთი, „სტრატეგიული ანალიზის კვლევითი ცენტრი“ - სლოვაკეთი, მასარიკის უნივერსიტეტი - ჩეხეთი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ISP) - პოლონეთი. კვლევის ფოკუსში საქართველო იყო და შედარებითი ანალიზი ჩატარდა ვიშეგრადის სამიზნე ქვეყნებთან.

ამ მოხსენებაში პოლარიზაციის შემდეგი განმარტება გამოვიყენეთ: „პოლიტიკური ინსტრუმენტი - ჩამოყალიბებული საზღვრების დასადგენად „ჩვენსა“ და „მათ“ შორის; პოლარიზაცია არის ვითარება, რომელშიც ორი ჯგუფი ერთმანეთს ქმნის თავიანთ შორის საზღვრის დემარკაციის გზით“ (Palonen 2009). თუმცა, როგორც პოლარიზაციის სპეციფიკური ფორმა, აფექტური პოლარიზაცია საუკეთესოდ შეეფერება საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნების კონტექსტს. ტერმინი „აფექტური პოლარიზაცია“ არის „პარტიების მხარდამჭერთა („პარტიულ პირთა“) მიდრეკილება, განიხილონ სხვა პარტია/პარტიები, როგორც საძულველი გარე ჯგუფი(ები), ხოლო თავად დადებითი გრძნობები აქვთ საკუთარი პარტიის მიმართ“ (Reiljan 2020).

კვლევის დიზაინი ეფუძნება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდოლოგიების ნაზავს. კვლევის მიზნებისთვის, მონაცემთა შეგროვების მეთოდები იყო:

- **სამაგიდო კვლევა:** ლიტერატურის მიმოხილვა, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, არსებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიმოხილვა;

- **ექსპერტთა გამოკითხვები (იხილეთ გამოკითხვის კითხვარი პირველ დანართში):** საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში რესპონდენტებად ორი კატეგორია განისაზღვრა: ჟურნალისტები და ექსპერტები/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სულ 109 რესპონდენტი გამოიკითხა 5 ქვეყანაში და თითოეულ ქვეყანაში დაახლოებით 20 რესპონდენტი იყო. საერთო ჯამში, გამოიკითხა 55 მედია ექსპერტი და 54 ჟურნალისტი საქართველოდან და ვიშეგრადის ქვეყნიდან.

- რესპონდენტებს პასუხის მონიშვნა 5-ბალიან სკალაზე დაევალა (სადაც 5 იყო „ძალიან აქტუალური“ და 1 „არარელევანტური“).

- გამოვთვალეთ თითოეული საკვლევი კითხვის საშუალო შეფასების ქულა, რაც უზრუნველყოფს კოლექტიური აზრის კონსოლიდირებულ ხედვას. ეს მეთოდი გვთავაზობს სისტემატიურ მიდგომას რესპონდენტების მოსაზრებებში შაბლონების გამოსავლენად და საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ კონსენსუსი ან განსხვავებები გამოკითხულ საკითხებში.

- გამოკითხვა ასევე შეიცავდა ორ ღია კითხვას. მათზე პასუხები გამოყენებული იქნა თვისებრივი ანალიზისთვის. გამოყენებულ იქნა თემატური კოდირების ინსტრუმენტები, პასუხების დაჯგუფება Matrix-ში განხორციელდა.

- **სიღრმისეული ინტერვიუები (იხილეთ ინტერვიუს კითხვარი მეორე დანართში):** თითოეულ ქვეყანაში ჩატარდა 3 ინტერვიუ მედიის წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან. რესპონდენტთა შერჩევა იყო მიზანმიმართული. ინტერვიუების გაანალიზება განხორციელდა Matrix პროგრამის გამოყენებით, თემატური კატეგორიების და ქვეყნებს შორის თემატური მონაცემთა ანალიზის გამოყენებით. გამოვიყენეთ Vivo და ფერადი კოდირების მეთოდები.

## კვლევის შეზღუდვები

ვალდართ. ჯერ ერთი, კვლევის შედეგები არ არის რეპრეზენტაციული და ანალიზი ძირითადად ეფუძნება ექსპერტებისა და ჟურნალისტების შეხედულებებს. მეორეც, კვლევა არ არის რეპრეზენტაციული სტატისტიკური თვალსაზრისით, იმის გათვალისწინებით, რომ კვლევაში გამოყენებული იყო მიზნობრივი შერჩევის მეთოდი. ასევე იყო განსხვავება ქვეყნებს შორის მეთოდოლოგიაში, - პოლონეთში, მაგალითად, გამოკითხვის პასუხები მივიღეთ მხოლოდ ჟურნალისტებისგან, ხოლო დანარჩენ ოთხ ქვეყანაში (საქართველო, უნგრეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი) პასუხები მივიღეთ როგორც მედია ექსპერტებისგან, ასევე ჟურნალისტებისგან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლონელმა მკვლევრებმა შეძლეს ამ ხარვეზის შევსება პოლონეთში მედია ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებით.

## თავი პირველი: საქართველოსა და V4 ქვეყნებში პოლარიზაციის შიდა და გარე ფაქტორების რუკა

### საქართველო

ქართული მედია ლანდშაფტი, ფართო პოლიტიკური პოლარიზაციის შედეგად, მეტად პოლარიზებულია. ქართულ მედიაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური პოლარიზაცია და, ამავდროულად, ის წარმოადგენს ქვეყანაში პოლიტიკური და საზოგადოებრივი განხეთქილების გაღრმავების ერთ-ერთ სტიმულატორსა და წყაროს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მედიის პოლარიზაცია მკვეთრად გაიზარდა და ახლა საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ახასიათებს „მკვეთრი პოლარიზაცია“, როგორც მისი ყოველდღიური პოლიტიკის წარმართვისას, ასევე საზოგადოების ღირებულებების და ქვეყნის მიმართულების კუთხით (Gegeshidze and De Waal 2022). ქართული მედია ქართული პოლიტიკური პროცესების ანარეკლად იქცა. მხოლოდ რამდენიმე უპარტიო მედიასაშუალება თუ არსებობს, რაც ართულებს არჩევნებში გადაწყვეტილების მიღებას.

პოლარიზაცია ადრე ძირითადად დაკავშირებული იყო ქვეყნის შიდა პოლიტიკურ მოვლენებთან, მაგრამ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკაც პოლარიზაციის წყაროდ იქცა. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ღრმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოზე და მის ევროპეიზაციის პროცესზე. ამ საკითხებმა ახლა ის საშინაო საკითხებიც კი დაჩრდილა, რომლის გარშემოც საზოგადოება უკვე ძლიერ პოლარიზებული იყო. ამ ვითარებამ ფუნდამენტურად შეცვალა ზოგიერთი კრიტიკული შეხედულება პოლიტიკისა და უსაფრთხოების შესახებ. ასე რომ, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ვითარება უფრო მგრძობიარე გახდა და უკრაინის სიტუაციის გაშუქებამ ნაწილობრივ დაჩრდილა საქართველოს წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (UNDP 2022). მიუხედავად იმისა, რომ მედიის ყველა სექტორი ორიენტირებული იყო უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე, მათ გაშუქებაზე გავლენა მოახდინა ღრმა პოლიტიკურმა განხეთქილებამ საქართველოს საზოგადოებაში. ომმა გაამწვავა პოლიტიკური პოლარიზაცია და რადიკალიზაცია საქართველოში. უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ულტრამემარჯვენე მედია სააგენტოებმა უფრო ღიად და თამამად დაიწყეს საზოგადოებაში პრორუსული ნარატივების გავრცელება. შესაბამისად, უფრო კრიტიკული და რადიკალური გახდა ანტირუსული მედიის რიტორიკაც.


აშკარაა, რომ ექსპერტებისა და მედიის წარმომადგენლების წარმოდგენები ემთხვევა ერთმანეთს პოლარიზაციის შიდა და გარე ფაქტორების იდენტიფიცირების კუთხით. საშინაო ფაქტორების თვალსაზრისით, მათი უმრავლესობა ასახელებს „მმართველი პოლიტიკური პარტიის რიტორიკას“, რასაც მოჰყვება „პრორუსული პროპაგანდა“ და „დეზინფორმაცია“ (იხ. დიაგრამა 2). მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლარიზაციის საშინაო ფაქტორებად არის დასახელებული, ეს ყველაფერი საგარეო პოლიტიკას, კერძოდ, რუსეთს უკავშირდება. ამ შეხედულებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ როდესაც რესპონდენტებს ვთხოვეთ, დაესახელებინათ საგარეო პოლიტიკური ფაქტორები, ყველაზე მწვავე ფაქტორებად დასახელდა „რუსეთთან ურთიერთობა“, „ომი უკრაინაში და „ურთიერთობა უკრაინასთან“ (იხ. დიაგრამა 3). ეს სწორად ასახავს იმ ფაქტს, რომ შიდა თუ გარე ფაქტორები, რომლებიც პოლარიზაციას განაპირობებს, საბოლოო ჯამში არის იმის გამოძახილი, რაც განვითარდა 2022 წლის შემდეგ - მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა.



## დიაგრამა 2.

საშინაო ფაქტორები, რაც საქართველოში პოლარიზაციას ასტიმულირებს: ექსპერტები vs ჟურნალისტები


1 - ძალიან ახაჩევეანტუხი  
5 - ძალიან ხეღევანტუხი



## დიაგრამა 3.

საგარეო ფაქტორები, რაც საქართველოში პოლარიზაციას ასტიმულირებს: ექსპერტები vs ჟურნალისტები

1 - ძალიან ახაჩევეანტუხი  
5 - ძალიან ხეღევანტუხი



ასევე 2020 წელს, PKN-მ ხელში ჩაიგდო პრესის უმსხვილესი დისტრიბუტორი, RUCH-ი. ამან საშუალება მისცა კომპანიას, გაეკონტროლებინა წვდომა რეგიონალურ და ადგილობრივ გაზეთების ბაზარზე.

მთავრობის მიმართ კრიტიკულ კერძო მედიას უარი ეთქვა სახელმწიფო რეკლამაზე. ამასთან, მთავრობის მიმართ კრიტიკული კერძო მედია აღმოჩნდა უამრავი სასამართლო პროცესის წინაშე, ასევე, ე.წ. SLAPP საქმეების წინაშე.

2021 წელს მიღებულ იქნა ცვლილება მაუწყებლობისა და კინემატოგრაფიის აქტში, რომელიც ცნობილია მედიატერმინით Lex TVN. ოფიციალურად, ამ აქტის მიზანი იყო იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რაც საშუალებას აძლევდა ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ კომპანიებს, ჰქონოდათ 49%-ზე მეტი წილები პოლონეთის რადიოებსა და ტელევიზიებში. მთავრობამ უარყო, რომ ეს ქმედება მიმართული იყო რომელიმე მაუწყებლის წინააღმდეგ და თქვა, რომ ის მიზნად ისახავდა მედიის პოტენციური შეძენის თავიდან აცილებას ისეთი ქვეყნების მიერ, როგორცაა რუსეთი ან ჩინეთი. თუმცა, ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ რეალური მიზანი იყო ამერიკული კომპანიის საკუთრებაში არსებული კერძო მაუწყებლის, TVN-ის ლიცენზიის გაუქმება, რადგან ის იყო მთავარი სატელევიზიო პლატფორმა ოპოზიციისთვის და ზოგადად ხელისუფლების კრიტიკოსებისთვის. საბოლოო ჯამში, შესწორებას ვეტო დაადო პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ, რომელიც ჩვეულებრივ ძალიან ლოიალურია კანონისა და სამართლიანობის პარტიის მიმართ. ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად, დუდამ მიანიშნა, რომ მან ეს აშშ-ს ხელისუფლების ზეწოლით გააკეთა. TVN-ის მაგალითი აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია მედია პლურალიზმის შესანარჩუნებლად უცხოურ კომპანიებს ჰქონდეთ უფლება, ფლობდნენ წილებს მედიაკომპანიებში.


2015 წელს პოლონეთი მე-18 ადგილზე იყო (180 გაანალიზებული ქვეყნიდან) პრესის თავისუფლების ინდექსში („რეპორტიორების საზღვრებს გარეშე“), 2016 წელს კი 29 ადგილით გაიუარესა პოზიცია. 2020 წლისთვის პოლონეთი 62-ე ადგილზე იყო - მას გადაუსწრეს სომხეთმა და საქართველომ. 2020 წელსვე ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთომ) განაცხადა, რომ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ უზრუნველყო დაბალანსებული და მიუკერძოებელი გაშუქება, და, ნაცვლად ამისა, საფრთხეს უქმნიდა პოლონეთის ღირებულებებსა და ეროვნულ ინტერესებს“ (ეუთო). 2020).

2023 წლის 15 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ეუთო-მ დაასკვნა, რომ არჩევნები იყო „კონკურენტული და ამომრჩევლებს ჰქონდათ პოლიტიკური ალტერნატივების ფართო სპექტრი, მაგრამ მმართველმა პარტიამ აშკარა უპირატესობა მოიპოვა სახელმწიფო რესურსების და საზოგადოებრივი მედიის გამოყენებაზე არასათანადო ზემოქმედებით“. ასევე აღინიშნა, რომ „პოლიტიკურად პოლარიზებულ მედია გარემოში და ზოგადად დამოუკიდებელი ჟურნალისტიკისთვის შეზღუდულ სივრცეში, საზოგადოებრივი მაუწყებელი ღიად მხარს უჭერდა მმართველ პარტიას“ (ეუთო 2023, დიაგრამა 16).

**დიაგრამა 15.**

ფაქტორები რაც პოლონეთში მედიის პოლარიზაციაზე მოქმედებს ექსპერტები vs ჟურნალისტები

1 - ძალიან ახაჩევევანტუხი  
5 - ძალიან ხეღვევანტუხი





**თავი მესამე: მედიის პოლარიზაციის შერბილების მექანიზმები და მისი პოტენციური დადებითი გავლენა ამომრჩევლის გადაწყვეტილების მიღებაზე: ექსპერტებისა და ჟურნალისტების აღქმები**

**საქართველო**

იმისათვის, რათა საქართველო გახდეს კონსოლიდირებული დემოკრატია და ევროინტეგრაციის პროცესი გამართული იყოს, აშკარაა, რომ დეპოლარიზაცია აუცილებელი წინაპირობაა. ამას მოწმობს ევროკავშირის რეკომენდაციებიც. დეპოლარიზაციის გლობალური ტენდენციები აჩვენებს, რომ ეს ჩვეულებრივ ხდება სისტემური შოკების შემდეგ, ან ფუნდამენტური ცვლილებების შემდეგ (McCoy & Press 2022). ზოგიერთი ქართველი ანალიტიკოსი თვლის, რომ საარჩევნო ბარიერის დაწევამ, - ამჟამინდელი ბარიერი 5%-ს შეადგენს, - შესაძლოა, შეამციროს პოლიტიკური პოლარიზაცია, რამეთუ მცირე პოლიტიკურ პარტიებს პარლამენტში შესვლის შესაძლებლობა ექნებათ (Chkhetiani 2022).

მედიის პოლარიზაციის შემცირების გზების კუთხით, გამოკითხულმა ექსპერტებმა მთავარ გამოსავლად დაასახელეს მედიასაშუალებების უფრო ძლიერი ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. მართლაც, დასავლელი დონორების მიერ მეტი მედიის დაფინანსება უფრო სასურველად არის აღქმული, ვიდრე ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან დაფინანსება. ამასთან, სარეკლამო ბაზრის ზრდა ასევე შეამცირებს დამოკიდებულებას პოლიტიკურად მოტივირებულ დაფინანსების წყაროებზე მედიაში (საქართველო, რესპონდენტი 1, 2023). გამოკითხვაში ასევე ხაზი გაესვა ჟურნალისტის პროფესიონალიზმისა და ღირებულებითი სისტემების მნიშვნელობას (საქართველო, ექსპერტთა კვლევა; საქართველო, რესპონდენტი 2, 2023). მედიის წარმომადგენლები და ექსპერტები, რომლებიც გამოვკითხეთ, ასევე თანხმდებიან, რომ მედიანიგნიერების პროგრამები დაეხმარება საზოგადოებას, კრიტიკულად შეაფასოს და გაარჩიოს მიკერძოებული ან არასანდო ინფორმაცია, ეს კი პოლარიზაციის შემცირებას შეუწყობს ხელს. როგორც ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, „ახალი ამბების განათლებული მომხმარებლები ნაკლებად ექცევიან ექსტრემალური ნარატივების გავლენის ქვეშ“ (საქართველო, რესპონდენტი 2, 2023). გამოკითხულმა ექსპერტმა ერთ-ერთ გამოსავლად შემოგვთავაზა, საზოგადოების უფრო მეტ წევრს მიეცეს მონაწილეობის საშუალება პოლიტიკურ ტოკშოუებში, რათა ყველა აზრი იყოს წარმოდგენილი. (საქართველო, რესპონდენტი 1, 2023).

კითხვაზე, თუ რამდენად შეუძლია მედიის პოლარიზაციის შემცირებას, ხელი შეუწყოს უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას საარჩევნოდ, ექსპერტები პასუხობენ, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებაში უკეთ ჩამოყალიბდება კრიტიკული აზრი. გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ საზოგადოება არ ენდობა მედიას, რადგან არაკეთილსინდისიერმა ჟურნალისტებმა არაერთხელ მოატყუეს ხალხი. მათ მიაჩნიათ, რომ აუცილებელია მედიის გამიჯვნა პროპაგანდისგან და მედიის პრაქტიკოსებმა უნდა დაიმასხოვრონ მათი მთავარი ფუნქცია - საზოგადოების ინფორმირება. ექსპერტების აზრით, თუ საზოგადოება დაინახავს, რომ მედია არ არის დაკავებული პროპაგანდისტული საქმიანობით, იგი უფრო მეტად ენდობა მოწოდებულ ინფორმაციას და, შესაბამისად, შეძლებს სწორი და ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას ობიექტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით (GEO ექსპერტთა კვლევა 2023). ერთ-ერთმა გამოკითხულმა რესპონდენტმა თქვა, რომ პოლარიზაციის შემცირება გააჩენს საშუალებას, გაიმართოს მნიშვნელოვანი დისკუსიები, - „აიძლებს პოლიტიკურ პარტიებს, წარმოადგინონ თავიანთი შეხედულებები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის შესახებ და მისცენ საზოგადოებას არჩევნების დროს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლება“ (საქართველო, რესპონდენტი 3). მედიის წარმომადგენლებმა, რომლებიც გამოვკითხეთ, განაცხადეს, რომ მიაჩნიათ, რომ ჟურნალისტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნდობაა. მათ კარგად ესმით, რომ საზოგადოება არ ენდობა მედიას არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტიკის გამო.



ექსპერტებთან ინტერვიუებიდან და ექსპერტებისა და ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, რომ პოლარიზაცია აზიანებს როგორც საინფორმაციო გარემოს, ასევე პოლიტიკურ პროცესებს. ჟურნალისტების პასუხებიდან ჩანს, რომ ისინი არ არიან კმაყოფილნი თავიანთი მდგომარეობით და სურთ, მეტი თავისუფლება ჰქონდეთ, რათა მოსახლეობისგან მეტი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურონ.

## უნგრეთი

დღევანდელი ხელისუფლების აგრესიული მედია პოლიტიკა ოპტიმიზმის ადგილს არ ტოვებს. 2010 წელს ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, „ფიდესმა“ ინტენსიურად დაამყარა კონტროლი სახელმწიფო/საჯარო მედია ინსტიტუტებზე, მედიის მარეგულირებელმა ორგანოებმა გამოიყენეს საბაზრო ინტერვენციები, რათა ჩაეცემენტებინათ საჯარო სფეროში პრო-ფიდესური აზრის დომინირება და მისი მზარდი ჰეგემონია პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და განათლების სფეროებში.

მართლაც, პოლარიზაცია ხელისუფლების უპირველესი მიზანია. გაცილებით მცირე ზომის დამოუკიდებელი მედიალანდშაფტი სრულად არ აღმოფხვრილა, მაგრამ მისი წვდომა სერიოზულად შეიზღუდა, განსაკუთრებით სოფლად (უნგრეთი, რესპონდენტი 1, 2023). დადებითი ცვლილებების ძალიან მცირე იმედი არსებობს: რეალური გარღვევა კიდევ უფრო რთული ჩანს, ვიდრე პოლონეთში, რადგან არალიბერალური კანონები საკონსტიტუციო უმრავლესობის ორი მესამედით დამტკიცდა და Fidesz-ის ლოიალისტების პოზიციები მედია ინსტიტუტებში უახლოეს მომავალში უსაფრთხოდ გამოიყურება.

როგორც ჩვენმა რესპონდენტმა, დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, დამოუკიდებელი ჟურნალისტები ხშირად გრძნობენ საფრთხეს და თავს გარიყულად გრძნობენ (უნგრეთი, რესპონდენტი 2, 2023), მაგრამ მათ შეუძლიათ დაწერონ ის, რაც სურთ, რადგან მიაჩნიათ, რომ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები არ აღიძვრება (უნგრეთი, რესპონდენტი 3, 2023). სამწუხაროდ, მოქალაქეების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ყველა ჟურნალისტი მუშაობს პოლიტიკური პარტიების მარიონეტებად და ეს შეხედულება დისკრედიტაციას უწევს მაღალი ხარისხის ჟურნალისტიკას (უნგრეთი, რესპონდენტი 3, 2023). ჩვენმა ერთ-ერთმა გამოკითხულმა კიდევ ერთ პრობლემაზე მიუთითა: თუ ჟურნალისტი მოდის იმ მედიასაშუალებებიდან, რომელიც არ არის განსაკუთრებით მეგობრული „ფიდესის“ მიმართ, ავტომატურად განიხილება, როგორც მტერი. დამოუკიდებელი მედიასაშუალებები თავისებურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ: მათ არ სურთ იმის მტკიცება, რომ პროპაგანდისტები არ არიან, მაგრამ თუ არაფერს იტყვიან, ეს ასევე იწვევს სანდოობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას (უნგრეთი, რესპონდენტი 2, 2023).

არსებობს მედიაგანათლების, ასევე დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების წინააღმდეგ კამპანიის გადაუდებელი აუცილებლობა. თუმცა ეს განვითარება არ შეიძლება განცალკევდეს პარტიული პოლიტიკური სისტემის ფუნდამენტური განახლების საჭიროებისაგან.

## სლოვაკეთი

ექსპერტთა საზოგადოების, მედიის წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსების პერსპექტივამ მედიის პოლარიზაციის შერბილებისა და ამომრჩეველთა ინფორმირებული გადანყვეტილების მიღების ხელშეწყობის გზების შესახებ გამოავლინა საკვანძო ინფორმაცია, თუ როგორ მოვახდინოთ თანამედროვე ინფორმაციის გავრცელების კომპლექსურ ლანდშაფტში ნავიგაცია. მედიის პოლარიზაცია, როგორც სხვადასხვა დაინტერესებული მხარე შენიშნავს, გადამწყვეტ როლს თამაშობს ამომრჩეველთა პოლარიზაციის გაძლიერებაში. მედიისგან უფრო რადიკალური სიახლეების მოთხოვნა განიხილება, როგორც ამის შედეგი, რაც ქმნის საზოგადოების სარკეს, რომელიც ასახავს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ამძაფრებს არსებულ განხეთქილებას (სლოვაკეთი, რესპონდენტი 2). ყველა აღიარებს და შეშფოთებულია იმით, რომ მედიის პოლარიზაციამ გადალახა ჯანსაღი დისკუსიის საზღვრები. მიღებულია ის მოსაზრებაც, რომ კონფლიქტი გასცდა გონივრულ საზღვრებს და გადავიდა დეზინფორმაციის სფეროში. დისკურსის ტრანსფორმაცია ემოციურ ბრძოლაში, - „ჩვენ მათ წინააღმდეგ“, - დადებით გავლენას არ ახდენს საზოგადოების პროგრესზე (სლოვაკეთი, რესპონდენტი 3).

მიიჩნევა, რომ ინფორმაციის ეპოქაში ცხოვრება არის როგორც მნიშვნელოვანი, ასევე რთული. ინფორმაციით გადატვირთვა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, მაგრამ ასევე აღიარებულია ბრძოლა, რომ ამ ინფორმაციის გაგება მოხდეს. საინფორმაციო „ბუშტების“ ფორმირების ტენდენცია, სადაც ინდივიდები გარშემორტყმული არიან ერთნაირი მოსაზრებებით, იდენტიფიცირებულია, როგორც ამ ინფორმაციის გადატვირთვის პოტენციური შედეგი. რესპონდენტები ხაზს უსვამენ სოციალური მედიის გავლენიან როლს დამოკიდებულებებისა და ქცევის ნორმების ჩამოყალიბებაში. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედიის გავლენა განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი, ასევე აღიარებულია, რომ მისი გავლენა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი (სლოვაკეთი, რესპონდენტი 2).

რესპონდენტებს შორის საზოგადოების პოლარიზაციის აღქმები განსხვავებული იყო. ზოგიერთმა მიიჩნია, რომ იგი არსებითად ბუნებრივია დემოკრატიულ გარემოში. ციფრული რევოლუცია, განსაკუთრებით ცრუ ინფორმაციის გავრცელება, დასახელდა, როგორც ძირითადი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს პოლარიზაციის ნეგატიურ აღქმას. შემოთავაზებული გადანყვეტა მოიცავს ონლაინ ქსელების რეგულირებას, მაგრამ ასევე აღიარებულია ამ გამონწვევებთან ადაპტაციისა და თანაარსებობის სწავლის აუცილებლობა (სლოვაკეთი, რესპონდენტი 3).

მედიის როლის შესწავლისას ინფორმირებული გადანყვეტილების მიღების ხელშეწყობის პროცესში აშკარაა, რომ გარკვეულ მიდგომებს შეუძლიათ პოზიტიური წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ დისკურსსა და სამოქალაქო ჩართულობაში. ერთ-ერთი თვალსაჩინო სტრატეგიაა „გადანყვეტილებების ჟურნალისტიკის“ პრაქტიკის მიყოლა. ეს კონცეფცია სცილდება კრიტიკას და ძირითადად საზოგადოების გამონწვევების გადაჭრის გზებზე აკეთებს აქცენტს. დღევანდელ მედია ლანდშაფტში, სადაც ხშირად ჭარბობს სენსაციონიზმი და „კლიკბეიტები“, „გადანყვეტილებების ჟურნალისტიკა“ საინტერესო ალტერნატივას გვთავაზობს. მედია საშუალებებს, არა მხოლოდ პრობლემების იდენტიფიცირებაზე, არამედ მათ ეფექტური გადაჭრის საშუალებების შეთავაზებაზე აქცენტირებით, შეუძლიათ მოქალაქეებს უფრო ინფორმირებული გადანყვეტილებების მიღების შესაძლებლობა მისცენ (სლოვაკეთი, რესპონდენტი 1).

გარდა ამისა, აღიარებულია საზოგადოებრივი რადიოსა და ტელევიზიის მნიშვნელობა საინფორმაციო ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში. როდესაც უფრო მაღალი ხარისხის სტანდარტებით ფუნქციონირებს, საზოგადოებრივ რადიოსა და ტელევიზიას აქვს ამომრჩევლებისა და მოქალაქეების განათლების დონის ეფექტურად ამაღლების პოტენციალი. ეს გულისხმობს კრიტიკული საკითხების პასუხისმგებლობით გაშუქებას, სენსაციონიზმისგან თავის არიდებასა და ისეთი კონტენტის პრიორეტიზაციას, რომელიც ხელს უწყობს რთული თემების უფრო დეტალურად განმარტებას. კერძოდ, შედარებითი ანალიზი, რომელიც ხაზს უსვამს წარმატებულ მიდგომებს სხვა ქვეყნებიდან, შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს პოლარიზაციის შემცირებაში (სლოვაკეთი, ჟურნალისტების გამოკითხვა, 2023).

მედიაში ექსპერტებზე უფრო მეტად ორიენტირებული მიდგომა ბევრს მოსწონს. შედარებით ანალიზი გვთავაზობს ღირებულ შეხედულებებს სხვადასხვა სისტემის მუშაობის შესახებ. პოტენციური გადაწყვეტილებების ჩვენებით, მედიას შეუძლია გააჩინოს იმედი და მოტივაცია აუმაღლოს მოქალაქეებს, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესში. ეს მიდგომა წაახალისებს ამომრჩევლებს, გაიხედონ თავიანთ საინფორმაციო „ბუშტებს“ მიღმა, ეძებონ სხვებთან გადაკვეთის წერტილები და ჩაერთონ საზოგადოების საკითხების უფრო ყოვლისმომცველ გაგებაში (სლოვაკეთი, ექსპერტების გამოკითხვა; სლოვაკეთი, რესპონდენტი 1).

არსებითად, მედიის მიერ პოზიტიური როლის შესრულების საუკეთესო შემთხვევები, რაც ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერას ემსახურება, მოიცავს პასუხისმგებლიან ჟურნალისტიკის, გადაწყვეტილებებზე ფოკუსირებასა და აქცენტს სამყაროს დაბალანსებული და მრავალმხრივი ხედვის წარმოჩენაზე. ამ პრაქტიკის საშუალებით მედიას შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილების მიღებისათვის ხელსაყრელ გარემოს (სლოვაკეთი, ჟურნალისტების გამოკითხვა, 2023).


## ჩეხეთი

ჩეხეთის რესპუბლიკაში მედიის პოლარიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლისას მნიშვნელოვანი განსხვავება იკვეთება აკადემიური და პოლიტიკური კომუნიკაციის ექსპერტებსა და მედია ინდუსტრიის ექსპერტებს შორის აღქმებში. მედიის პროფესიონალებმა ჩეხეთის მედიის სარედაქციო პოლიტიკა დაასახელეს, როგორც ძირითადი სისუსტე, რაც, ზემოთ აღწერილი საკუთრების პირობების გათვალისწინებით (იხ. დიაგრამა 17), გასაგებია. ექსპერტები კი ხშირად აკრიტიკებენ ჟურნალისტებს გარკვეული თემების გაშუქებისას არაკომპეტენტურობის ან პოლიტიკოსების გავლენის ქვეშ მოქცევის გამო. ასევე აღსანიშნავია კრიტიკა, რომლის თანახმადაც მედია ზედმეტად ამახვილებს ყურადღებას სკანდალებსა და სენსაციონიზმზე (ჩეხეთი, რესპონდენტი 1, 2023). ყველაზე დიდი განსხვავება ორ ჯგუფს შორის აღქმებში არის მათი შეხედულებები საგარეო გავლენებზე, როგორცაა კრემლის პროპაგანდა და ჩეხეთის რესპუბლიკაში პოლიტიკური გარემოს სისუსტე. ექსპერტები ორივეს უფრო პრობლემურად აღიქვამენ, ვიდრე ჟურნალისტები. როგორც ანგარიშის შესავალშია ნათქვამი, ჩეხეთის რესპუბლიკა პრესის თავისუფლების საერთაშორისო რეიტინგში კარგად გამოიყურება. ეს გამოიხატება როგორც ექსპერტების, ისე ჟურნალისტების მიერ „მედიის სახელმწიფოს მიერ ხელში ჩაგდება“ პუნქტისათვის დაბალ რელევანტურობის მინიჭებაში.

### დიაგრამა 16.

ფაქტორები, რაც ჩეხეთში მედიის პოლარიზაციაზე მოქმედებს ექსპერტები vs ჟურნალისტები

1 - ძალიან აჩაჩევანტუხი  
5 - ძალიან ხევევანტუხი



## პოლონეთი

ამ პროექტის ფარგლებში გამოკითხულმა ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა ერთხმად შეაფასეს, რომ პოლონური მედია ლანდშაფტი ხასიათდება მკაფიო პოლარიზებით და ამის მთავარი მიზეზი არის საზოგადოებრივი მედიის უკიდურესი პოლიტიზირება. აღინიშნა, რომ ეს მედიასაშუალებები გადაკეთდა მმართველი პარტიის პროპაგანდისტულ იარაღად (პოლონეთი, რესპონდენტები 1,2, 2024). შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ამ აუთლეტების მედიად მოხსენიებისა და მათი დასაქმებული პერსონალის ჟურნალისტებად წოდების ლეგიტიმაცია. ზოგიერთი ვარაუდობს, რომ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედია და განსაკუთრებით საზოგადოებრივი ტელემაუწყებელი TVP ყოველთვის იყო მთავრობაზე დამოკიდებული (პოლონეთი, 2,3, 2024). კანონისა და სამართლიანობის პარტიის პირობებში კი ეს კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა. თუმცა ექსპერტები, რომლებიც მეცნიერულად სწავლობენ პოლიტიკურ პროპაგანდის ფენომენს, აღნიშნავენ, რომ ეს მცდარი პერსპექტივაა. ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი მედიის ურთიერთობის წინა ცნებები არ მოიცავდა ამ უკანასკნელის, როგორც პროპაგანდისტული ინსტრუმენტის შეგნებულად გამოყენებას. ამჯერად საზოგადოებრივი მედია სუბიექტურობისგან მთლიანად გათავისუფლდა.

ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი 2016-23 წლებში გამოიყენებოდა არა მხოლოდ მმართველი პარტიის ნარატივის გასავრცელებლად, არამედ დეზინფორმაციისა და ცილისმწამებლური კამპანიების მიზანმიმართულად გასავრცელებლად, რომელსაც მიზანში ჰყავდა ამოღებული ოპოზიციური პარტიებისა და გარკვეული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები (განსაკუთრებით მიგრანტები და ლგბტქ ადამიანები), ასევე, დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები (პოლონეთი, რესპონდენტი 1, 2024). ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევა იყო განსკის მერის, პაველ ადამოვიჩის შემთხვევა, რომელიც მოკლეს 2018 წელს საქველმოქმედო ღონისძიების დროს. გარდაცვალებამდე ადამოვიჩს საზოგადოებრივი მაუწყებელი არაერთხელ დაესხა თავს ისე, რომ, შესაძლოა, მკვლელის მოტივირება მოეხდინა, - მკვლელისა, რომელიც საბოლოოდ ფსიქიკურად არასტაბილური აღმოჩნდა (IPI 2019). ტრაგედიით დასრულდა ოპოზიციური დეპუტატის წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი ცილისმამების კამპანია. დეპუტატის დისკრედიტაციის მიზნით, TVP-მ გამოაცხადა, რომ დეპუტატის თინეიჯერი შვილზე სავარაუდოდ სექსუალურად ძალადობდა დედის თანაპარტიელი კოლეგა. თინეიჯერმა, ვერ გაუძლო რა ამ სიტუაციასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ დამცირებას, თავი მოიკლა (Politico 2023). TVP-ის ხელმძღვანელობას არც ერთ შემთხვევაში არ გამოუთქვამს სინანული, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა უკმაყოფილება სახელმწიფო კონტროლირებადი მედიის მიმართ მმართველი ბანაკის კრიტიკოსებში და, შესაბამისად, გაამძაფრა სოციალური პოლარიზაცია. ადამოვიჩის მკვლელობის შემდეგ, მთავარი ოპოზიციური პარტიის პოლიტიკოსებმა დაიწყეს TVP-ის მიმდინარე ამბების გადაცემების ბოიკოტირება, ხოლო მმართველი პარტიის პოლიტიკოსები თავს არიდებდნენ კერძო ტელევიზია TVN-ის გადაცემებში გამოჩენას.

გარდა ამისა, ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პოლარიზაცია გამომწვეულია შიდა ფაქტორებით, მაგრამ ის საზოგადოებას ხდის მგრძობიარეს გარედან კონტროლირებადი დეზინფორმაციული კამპანიების მიმართ (პოლონეთი, რესპონდენტი 2,3, 2024). ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსულ პროპაგანდასა და დეზინფორმაციას, რომლის მთავარი მიზნები პოლონეთში მოიცავს შიდა კონფლიქტების გაღვივებას, უთანხმოების შექმნას პოლონეთსა და დასავლელ მოკავშირეებს შორის, ძირს უთხრის ევროკავშირისადმი ნდობას და ახალისებს უკრაინელების მიმართ პოლონელების უკმაყოფილებას. როგორც ჩანს, პოლონეთი, რომელიც უკრაინის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა და მასთან გეოგრაფიულადაც ახლოსაა, განსაკუთრებით დაუცველია რუსული დეზინფორმაციის მიმართ. თუმცა, ექსპერტებმა, რომლებიც აკვირდებიან რუსულ დეზინფორმაციას, ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინეს პოლონეთის პოლიტიკასა და არჩევნებში რუსეთის აქტიური ჩარევის მტკიცებულებები.



მიუხედავად იმისა, თუ საიდან მომდინარეობს და რა გზავნილს აძლიერებს, დეზინფორმაცია საშიში მოვლენაა და ძლიერ პოლარიზებული საზოგადოებები განსაკუთრებით მგრძობიარეა მის მიმართ. საზოგადოების პოლარიზებულ ჯგუფებად დაყოფა თითოეულ მათგანში დეზინფორმაციაზე მოთხოვნას ქმნის. ჯგუფები ელიან ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება მათ შეხედულებებს. რაც უფრო რადიკალიზებული ვართ, რაც უფრო მეტად ვგრძობთ თავს ერთი ჯგუფის წევრებად და ვგრძობთ მტრობას მეორის წევრების მიმართ, მით უფრო ადვილია ჩვენთვის დავიჯეროთ, რომ ინფორმაცია, რომელიც გამოჩნდება და შეესაბამება ჩვენს შეხედულებებს, სიმართლეა.

პოლონეთში ბოლო საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის დროს დეზინფორმაცია ფართოდ ვრცელოდებოდა და არა მხოლოდ მთავრობის მიერ კონტროლირებადი მედიისა და მმართველი პარტიის მიერ. ექსპერტების გაფთხილების თანახმად, პოლიტიკოსები თავს არ შეიზღუდავენ, ასე რომ, ღირს დეზინფორმაციის გამავრცელებლების დასასჯელად რეგულაციების შემოღება (პოლონეთი, რესპონდენტი 1,3, 2024). ასევე, აუცილებელია საზოგადოებაში შესაბამისი სტანდარტების პოპულარიზაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული გავრცელება რწმენისა, რომ დეზინფორმაცია და მანიპულირება მისაღები ინსტრუმენტებია საარჩევნო კამპანიაში და ზოგადად პოლიტიკურ საქმიანობაში (Mierzyńska).



## დასკვნა

ამ კვლევამ ნათელი მოჰფინა იმ ფაქტს, რომ მედიის პოლარიზაცია ასახავს მიმდინარე პოლარიზებულ პოლიტიკურ ვითარებებს საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში. ამ ქვეყნების უმეტესობაში პოლიტიკური პარტიები მედიას იარაღად იყენებენ. სხვა მეორადი წყაროებისა და ამ კვლევის შედეგები ერთმანეთს იმ თვალსაზრისით, რომ ასკვნის, მედიის პოლარიზაცია ემსახურება ამომრჩევლების ორ მტრულ ბანაკად დაყოფას, რაც დამახასიათებელია აფექტური პოლიტიკური პოლარიზაციისთვის. მედიის პოლარიზაცია განსაკუთრებით აფერხებს ამომრჩევლებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გარდა ამისა, 2022 წლიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, ამ სახელმწიფოების შიდა პოლიტიკური ლანდშაფტებიც კი დაჩრდილა საგარეო პოლიტიკამ. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ პოლარიზაცია ძირითადად გამოწვეულია შიდა პოლიტიკური ფაქტორებით, როგორცაა პოლიტიკოსების რიტორიკა, ამ შიდა პოლიტიკურ ნარატივებზე გავლენა იქონია რუსეთის ომმა უკრაინაში.

საქართველოს შემთხვევაში, პოლიტიკურმა პოლარიზაციამ პირდაპირი გავლენა მოახდინა მედიის პოლარიზაციაზე, რამაც ხელი შეუწყო ამომრჩეველთა პოლარიზაციას, მათს მმართველ და მთავარ ოპოზიციურ პარტიებს შორის გაყოფას და სხვა ძალების შესუსტებას. ამაში შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად დიდი წვლილი მიუძღვის მედიას. ეს იმიტომ მოხდა, რომ ქართულ მედიასაშუალებებს ფინანსური დამოუკიდებლობა არ გააჩნიათ და ამიტომ მათი უმრავლესობა ან მმართველი პარტიის ან ოპოზიციის მხარეს ირჩევს. თუმცა, როდესაც საქმე ეხება რუსეთთან ურთიერთობისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მედიის გაშუქებას, ე.წ. ოპოზიციური მედია სააგენტოები უფრო პოლიტიკურად დამოუკიდებელი არიან, ვიდრე პრო-სამთავრობო მედია წყაროები.

უნგრეთში უარესი მდგომარეობაა მედიის თავისუფლების თვალსაზრისით. მედიის პოლარიზაცია უნგრეთში არ არის გვერდითი ეფექტი ან თანმხლები ზიანი. ის გახლავთ ახლანდელი მმართველი პარტიის იდეოლოგიური მიზანი, თავისი სტრატეგიის შესაბამისად, კიდევ უფრო გააფართოვოს პოლარიზაცია ამომრჩეველში სტაბილური უმრავლესობის შესაქმნელად. თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის მცირე ნაწილი ინარჩუნებს ტრადიციულ ჟურნალისტურ ეთოსს. მიუხედავად ამისა, ისინიც კი დგანან დილემის წინაშე, დააბალანსონ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და მათთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რამეთუ ხელისუფლებისგან მუქარის წინაშე დგანან. საერთო იდენტობის პოლიტიკა ძლიერია, ხოლო ღრმა სოციალური დაძაბულობა ზედაპირს ქვემოთ რჩება. ამიტომაც არის, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია არ არის დაკავშირებული შესაბამის სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებთან.

რაც შეეხება პოლონეთის მედიის ლანდშაფტს, იგი გამოირჩევა მკაფიო პოლარიზებით კერძო მაუწყებლებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების კონტენტს შორის. 2016-23 წლებში საზოგადოებრივი მედიის, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ტელევიზიის უკიდურესი პოლიტიზაცია არის არა პოლონეთის პოლიტიკური კონფლიქტების შედეგი, არამედ „კანონისა და სამართლიანობის“ პარტიის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი, რომელიც მიზნად ისახავს ამომრჩეველთა მობილიზებასა და ელექტორალური ბაზის განმტკიცებას. აღშფოთება იმის გამო, რაც „კანონი და სამართლიანობა“ პარტიის პოლიტიკოსებმა გაუკეთეს საზოგადოებრივ მედიას, რა თქმა უნდა, იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ოპოზიციური პარტიის ამომრჩევლების უზარმაზარ მობილიზაციას პოლონეთის საპარლამენტო არჩევნებზე, რომელიც გაიმართა 2023 წლის 15 ოქტომბერს.

ამას მოჰყვა რეკორდული აქტივობა - 74%-ზე მეტი - და სამი ოპოზიციური პარტიის წარმატება, რომლებმაც კოალიციის შექმნის შემდეგ მოახერხეს ახალი მთავრობის ჩამოყალიბება. ახალი მთავრობისა და ახალი საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი მთავარი მოლოდინი არის საზოგადოებრივი მედიის რეფორმა, რათა უზრუნველყოს, რომ ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერასოდეს შეძლებს გაიმეოროს ის, რაც PiS-მა გააკეთა. აქედან გამომდინარე, საკმარისი არ არის მხოლოდ საზოგადოებრივი ტელევიზიისა და რადიოს მმართველი კომპანიების საბჭოების შექცვა. ასევე უნდა არსებობდეს ამ მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობის სამართლებრივი გარანტიები.

სლოვაკეთს რაც შეეხება, - მედიისა და დემოკრატიის რთული ლანდშაფტი სლოვაკეთში აჩვენებს არასტაბილურ ბალანსს პროგრესსა და მუდმივ გამოწვევებს შორის. დამოუკიდებელი მედიის გადამწყვეტი როლია, იყოს საზოგადოების მოდარაჯე ძალი, დემოკრატიული ღირებულებების მცველი. თუმცა, არსებული კონტექსტი, რომელსაც გამოარჩევს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესია, პოლიტიკური რყევები და საზოგადოების პოლარიზება, დიდ დაბრკოლებებს ქმნის. სლოვაკეთის საზოგადოებაში პოლარიზაცია, რომელიც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა სოციალური მედიის პლატფორმები და შებლუდული მედიანიგნიერება, ვლინდება შეთქმულების თეორიების გავრცელებულ რწმენასა და სტანდარტული მედიისადმი მკვეთრ უნდობლობაში. პოლიტიკურმა ტურბულენტობამ და მმართველობაში გამოწვევებმა ხელი შეუწყო სლოვაკეთის ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის ისტორიულ ვარდნას, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის, რათა გარკვეულმა პოლიტიკურმა ფრაქციებმა პოლარიზაციით ისარგებლონ. უკრაინაში მიმდინარე ომი კიდევ უფრო აძლიერებს ნარატივებს, რომლებიც ცდილობს, ძირი გამოეთხაროს ამ ქვეყნისადმი საზოგადოების მხარდაჭერას, რაც ხაზს უსვამს სტრატეგიული კომუნიკაციისა და მედია წიგნიერების აუცილებლობას.

ჩეხეთის რესპუბლიკაში ვითარება შედარებით პოზიტიურია ამ კვლევაში მოცემულ სხვა ქვეყნებთან შედარებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მდგომარეობის სუბიექტური აღქმა იმაზე უარესია, ვიდრე საერთაშორისო რეიტინგები გვთავაზობს, განსაკუთრებით პოლიტიკური და მედიის პოლარიზაციის კუთხით. გასულ წელს მთავრობამ გადადგა საკანონმდებლო ნაბიჯები ჩეხეთის ტელევიზიისა და ჩეხეთის რადიოს საბჭოების მედეგობის გასაძლიერებლად, - მათი წევრების არჩევის წესში ცვლილებებით. ამან საბჭოები უფრო მდგრადი გახადა არასტაბილურობისა და პოლიტიკური ცვლილებების მიმართ. თუმცა, რისკ-ფაქტორია ის, რომ ამჟამინდელ მთავრობას საზოგადოებისგან ძალიან დაბალი ნდობა აქვს, ხოლო სამთავრობო პარტიებისადმი სიმპათიები ოდნავ, მაგრამ სისტემატიურად იკლებს, ხოლო ოპოზიციური პოპულისტური მოძრაობა ANO პოპულარობისკენ მიიწევს.

საერთო ჯამში, მედიის პოლარიზაციის ზრდა ან შემცირება საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში დიდად არის დამოკიდებული პოლიტიკურ ლანდშაფტზე, არჩევნების შედეგებზე, მედიასაშუალებების დაფინანსებაზე, ჟურნალისტების პროფესიონალიზმსა და სარედაქციო პოლიტიკაზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მედიის პოლარიზაცია გაიზარდა რეგიონში გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და რუსეთის გაძლიერებული ჰიბრიდული ომის გამო საქართველოს, ვიშეგრადის ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. თუმცა, გარე ჩარევის მიუხედავად, უფრო დემოკრატიულ და გამძლე საზოგადოებებში, როგორცაა ჩეხეთი, პოლარიზაციის დონე უფრო დაბალია, ვიდრე მყოფე დემოკრატიებში, როგორცაა უნგრეთი, საქართველო და პოლონეთი.

## ბიბლიოგრაფია

- Baccini, Federico. 2023. Georgia government renews foreign agent law attempt. EU wants “unconditional withdrawal.” EUNews. ხელმისაწვდომია: <https://www.eunews.it/en/2024/04/04/georgia-foreign-agent-law-eu/> ბოლოჯერ ნანახია: 12.04.2024.
- BBC. 2020. Slovak tycoon Kocner cleared of murder of journalist and fiancée. ხელმისაწვდომია: <https://www.bbc.com/news/world-europe-54010733> ბოლოჯერ ნანახია: 11.03.2024.
- Buchtík, Martin., Eichler, Patric., Kopečný, Ondrej., Smejkalová, Katerina., & Uhrová, Jitka. 2021. One Society, Different Worlds. Praha: STEM, Masarykova demokratická akademie. ხელმისაწვდომია: <https://www.stem.cz/jedna-spolecnost-ruzne-svety/> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024
- Chkhetiani, Lika. 2022. Political polarization in Georgia: what do we really mean? Social Justice Center. ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/politikuri-polarizatsia-sakartveloshi-ras-vguliskhmobt-sinamdvileshi> ბოლოჯერ ნანახია: 11.03.2024.
- Civil.ge. 2021. Journalist’s Death Case: Georgian Media Appeals International Community. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/431573> ბოლოჯერ ნანახია: 22.03.2024.
- Dragomir, Marius. 2019. Media Capture In Europe. Media Development Investment Foundation. ხელმისაწვდომია: <https://www.mdif.org/wp-content/uploads/2023/10/MDIF-Report-Media-Capture-in-Europe.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024
- European Commission. 2023. Georgia - Membership status: candidate country. ხელმისაწვდომია: [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/european-neighbourhood-policy/countries-region/georgia\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/european-neighbourhood-policy/countries-region/georgia_en) ბოლოჯერ ნანახია: 22.03.2024.
- Freedom House. 2022. Freedom On The Net 2022. ხელმისაწვდომია: <https://freedom-house.org/country/hungary/freedom-net/2022> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024
- Freedom House. 2023. Freedom On The Net 2023 - Georgia. ხელმისაწვდომია: <https://freedom-house.org/country/georgia/freedom-net/2023> ბოლოჯერ ნანახია: 21.03.2024.
- GLOBSEC. 2022. "GLOBSEC Trends 2022: Central and Eastern Europe Amid War in Ukraine." ხელმისაწვდომია: <https://www.globsec.org/what-we-do/publications/globsec-trends-2022-central-and-eastern-europe-amid-war-ukraine>
- GLOBSEC. 2022. "Príručka Strategiekej Komunikácie pre Verejnú Správu." Available at: <https://www.globsec.org/what-we-do/publications/prirucka-strategiekej-komunikacie-pre-verejnu-spravu>
- GLOBSEC. 2023. "GLOBSEC Trends 2023: United We Still Stand." ხელმისაწვდომია: <https://www.globsec.org/what-we-do/publications/globsec-trends-2023-united-we-still-stand>
- GLOBSEC. 2023. GLOBSEC Trends 2023 United we (still) stand. ხელმისაწვდომია: <https://www.globsec.org/what-we-do/publications/globsec-trends-2023-united-we-still-stand> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024
- Imedi TV. 2024. Law on Transparency. ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/radioimedi/posts/pfbid02hhutGvLmUA2ow6gbi5urHYg7yNvrFUv4hMRQT2aSXumD74XGjthfAvzhRXXVeEsZl> ბოლოჯერ ნანახია: 10.04.2024.
- International Press Institute. 2019. In Poland, media coverage of mayor’s killing underscores polarization. ხელმისაწვდომია: <https://ipi.media/in-poland-media-coverage-of-mayors-killing-underscores-polarization/> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024
- IPI - International Press Institute. 2020. As violence escalates in Poland, journalists come under attack. ხელმისაწვდომია: <https://ipi.media/as-violence-escalates-in-poland-journalists-come-under-attack/> ბოლოჯერ ნანახია: 02.04.2024.

Kavtaradze, Lasha. 2021. Georgian Mainstream Media in a Polarized Political Environment: a Victim and an Accomplice. In: Georgia's Political Crisis: Actors and Instruments of Polarization. Caucasus Analytical Digest - CAD. ხელმისაწვდომია: <https://www.research-collection.ethz.ch/bitstream/handle/20.500.11850/507160/CAD123.pdf?sequence=3&isAllowed=y> ბოლოჯერ ნანახია: 02.04.2024.

Keshelava, Davit & Tsereteli, Nika. 2024. Georgia Media (de)Polarization Index. ISET Policy Institute. ხელმისაწვდომია: <https://iset-pi.ge/storage/media/other/2024-03-20/00248f00-e6af-11ee-afa3-e3139e2fd1a6.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 12.04.2024.

Mccoy, Jennifer & Press, Benjamin. 2022. Reducing Pernicious Polarization: A Comparative Historical Analysis of Depolarization. Carnegie Europe. ხელმისაწვდომია: <https://carnegieendowment.org/2022/05/05/reducing-pernicious-polarization-comparative-historical-analysis-of-depolarization-pub-87034> ბოლოჯერ ნანახია: 22.03.2024.

Molnár, Csaba & Krekó, Péter. 2023. Disinformation wonderland in the Hungarian government-controlled online media: Origo's articles on Putin and Zelensky. ხელმისაწვდომია: [https://politicalcapital.hu/news.php?article\\_read=1&article\\_id=3192](https://politicalcapital.hu/news.php?article_read=1&article_id=3192) ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024

National Monitoring Center for Polarization. "Polarizácia na Slovensku: Toto sú témy, ktoré polarizujú slovenskú spoločnosť." ხელმისაწვდომია: <https://nms.global/sk/polarizacia-na-slovensku-toto-su-temy-ktore-polarizuju-slovensku-spolocnost>

NDI. 2022. NDI: Public attitudes in Georgia, July-August 2022. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nj2022ge/codebook/?q=divi&w=> ბოლოჯერ ნანახია: 18.03.2024.

Newman, Nic., Fletcher, Richard., Eddy, Kirsten., Robertson, Craig T and Nielsen, Rasmus Kleis. 2023. Reuters Institute Digital News Report 2023. ხელმისაწვდომია: [https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default/files/2023-06/Digital\\_News\\_Report\\_2023.pdf](https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default/files/2023-06/Digital_News_Report_2023.pdf) ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024

Orhan, Yunus Emre. 2022. The relationship between affective polarization and democratic backsliding: Comparative evidence. Democratization. ხელმისაწვდომია: <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13510347.2021.2008912> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024

OSCE. 2020. STATEMENT OF PRELIMINARY FINDINGS AND CONCLUSIONS. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/4/9/455728.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024

OSCE. 2023. STANOWISKO W SPRAWIE WSTĘPNYCH WNIOSKÓW I USTALEŃ. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/2/9/555159.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024

Palonen, Emilia. 2009. Political Polarisation and Populism in Contemporary Hungary. ხელმისაწვდომია: [https://www.researchgate.net/publication/240592768\\_Political\\_Polarisation\\_and\\_Populism\\_in\\_Contemporary\\_Hungary](https://www.researchgate.net/publication/240592768_Political_Polarisation_and_Populism_in_Contemporary_Hungary) ბოლოჯერ ნანახია: 11.03.2024.

POLITICO. 2023. Polish state media under fire after politician's son died by suicide. ხელმისაწვდომია: <https://www.politico.eu/article/poland-state-media-under-fire-politician-son-suicide/> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024

Publika. 2024. META has deleted the visual materials published by members of Georgian Dream on Facebook, with which they are trying to justify the Russian law. ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/photo/?fbid=1137590480973834&set=a.715406393192247> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024.

Radio Liberty. 2022. NDI: Citizens aged 18-34 are the most dissatisfied with the work of the government. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32036931.html> ბოლოჯერ ნანახია: 21.03.2024.

Reiljan, Andres. 2019. 'Fear and loathing across party lines' (also) in Europe: Affective polarisation in European party systems. European Consortium of Political Research. ხელმისაწვდომია: <https://ejpr.onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/1475-6765.12351> ბოლოჯერ ნანახია: 20.03.2024.

Reporters Without Borders. 2023. Press Freedom Index. ხელმისაწვდომია: <https://rsf.org/en/index?year=2023> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024

Reporters without Borders. 2024. Global Index Report 2023. ხელმისაწვდომია: <https://rsf.org/en/index> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024

Reporters without borders. 2023. World Press Freedom Index 2023. ხელმისაწვდომია: <https://rsf.org/en/index> ბოლოჯერ ნანახია: 12.04.2024.

Roberts, A.L. (2020). Czech Democracy in the New Millennium (1st ed.). Routledge. ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.4324/9780429299544>

Statutory Forum. Report CG-FORUM. ხელმისაწვდომია: 2 <https://www.osce.org/files/f/documents/4/9/455728.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024

The Guardian. 2021. Viktor Orbán using NSO spyware in assault on media, data suggests. ხელმისაწვდომია: <https://www.theguardian.com/news/2021/jul/18/viktor-orban-using-nso-spyware-in-assault-on-media-data-suggests> ბოლოჯერ ნანახია: 10.02.2024.

TI Georgia. 2024. #NoToRussianLaw. ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/tigeorgia/posts/pfbid033Y7WYBa3DZgEJJdEQddzxsLJGh2tCBXM9PT8MDXy9V4WFLEmYZsM7mKjsWBm7Eacl> ბოლოჯერ ნანახია: 11.04.2024.

UNDP - Georgia. 2022. Polarization spikes as Georgian media follows the war in Ukraine and post-election developments in Georgia. ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/press-releases/polarization-spikes-georgian-media-follows-war-ukraine-and-post-election-developments-georgia> ბოლოჯერ ნანახია: 22.03.2024.



## რესპონდენტების პროფილები:

- საქართველო, მედია ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2023 წლის 23 დეკემბერი.
- საქართველო, მედია ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2024 წლის 24 იანვარი.
- საქართველო, მედია რედაქტორი, პირადი კომუნიკაცია, 2024 წლის 6 დეკემბერი.
- უნგრეთი, მედია ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2023 წლის 9 ნოემბერი.
- უნგრეთი, მედია ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2 ნოემბერი, 2023 წ.
- უნგრეთი, მედია რედაქტორი, პირადი კომუნიკაცია, 2023 წლის 8 ნოემბერი.
- სლოვაკეთი, მედია ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 7 სექტემბერი, 2023 წ
- სლოვაკეთი, მედია ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 8 სექტემბერი, 2023 წ
- სლოვაკეთი, მედია რედაქტორი, პირადი კომუნიკაცია, 2023 წლის 12 სექტემბერი
- ჩეხეთი, ვლადან ვანეკი, მედია ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2023 წლის 13 ოქტომბერი
- ჩეხეთი, Michal Kormaňák, IPSOS, პირადი კომუნიკაცია, 2023 წლის 17 ოქტომბერი
- ჩეხეთი, ლუდმილა ჰამპლოვა, StratCom-ის განყოფილება, მთავრობის ოფისი, 2024 წლის 3 იანვარი
- პოლონეთი, მედია ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2024 წლის 5 იანვარი.
- პოლონეთი, მედია ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2024 წლის 8 თებერვალი.
- პოლონეთი, მედია რედაქტორი, პირადი კომუნიკაცია, 9 თებერვალი, 2024 წ.

## დანართები

დანართი 1: გამოკითხვის კითხვარი:

<https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdjsP2e3TBIEvbLg-jwJDnGljABEtZf7k1H5FnADrtx9lV8Ow/viewform>

დანართი 2: ინტერვიუს კითხვარი:

[https://docs.google.com/document/d/1xG-LBf6\\_6OvY37trNV7ncvy108SjL78GOQ-DBh3CVF8/edit?usp=sharing](https://docs.google.com/document/d/1xG-LBf6_6OvY37trNV7ncvy108SjL78GOQ-DBh3CVF8/edit?usp=sharing)





# მედია კოლანრიზაცია



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

---

📍 საქართველო, თბილისი 0107,

ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

☎ +995 599 99 02 12

✉ info@gip.ge 🌐 www.gip.ge